ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

10 იანვრიდან „ახალი თაობა“ + ილია II

ოქროს ხანა 8 ლარი

სამტომეულის პირველი ტომი




ოთხშაბათი, 9 იანვარი, 2013 №6 (6007) ფასი: 30 თეთრი

# ირაკლი ოქრუაშვილი შესაძლოა გაათავისუფლონ



პროკურატურა ბრალდებებზე უარს ამბობს

გვ.2



## ცოლი, ცოლისდა, ბიძაშვილები და მძახალი — ზურაბ ზვიადაურის კლანი ახმეტაში

გვ.2

## ვინ გაძარცვა ქუთაისში ტუალეტები

გვ.5

## ირაკლი ალასანია: „საბრძოლო მოქმედებებში ჩვენი შეიარაღებული ძალები მონაწილეობას აღარ მიიღებენ“



გვ.3

რაზე ესაუბრა ჰოლანდიელი დეპუტატი ხელისუფლების წარმომადგენლებს





გვ.4

## უცხოელი ინვესტორები სააკაშვილს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებენ

## დარიალისა და ხდის ხეობებს ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრებათ

რატომ არ ასრულებს „ქართული ოცნება“ დანაპირებს

გვ. 4





გვ.6

## „ადეიშვილს ბელგიისთვის პოლიტიკური თავშესაფარი არ უთხოვია“

## კალაძე სააკაშვილს პასუხობს

გვ.3



თეა წულუკიანი: „ოქრუაშვილი ჩემს თვალში ფრთიანი ანგელოზი არ არის“

გვ.6



**3** იტალიაში მკვლელობაში ეჭვმიტანილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს

**5** ქვეყანაში კვალიფიციური პედაგოგების დეფიციტია

**3** გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე დღეიდან საგამოცდო კრებულები განთავსდება

**5** გაზრდის თუ არა შობადობას უფასო მშობიარობა?

9 771987 938006

# ირაკლი ოქრუაშვილი შესაძლოა გაათავისუფლონ

## პროკურატურა ბრალდებებზე უარს ამბობს

შორენა მარსაგიშვილი

**თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი შესაძლოა თავისუფალ ცხოვრებას დაუბრუნდეს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ დღეებში ოქრო „სვაბოდაზე“ გამოვა. გუშინ პროკურატურაში გამართული პრესკონფერენციის შემდეგ ეს საუბრები კიდევ უფრო აქტუალური გახდა.**



გუშინ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სამ ეპიზოდზე სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტა.

პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე პროკურატურის პრესსამსახურის უფროსმა ხათუნა პაიჭაძემ განაცხადა, რომ საქმე ეხება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებს.

– საქმეში არსებული მასალების ანალიზის შემდეგ პროკურატურა მივიდა დასკვნამდე, რომ ზემოთ ხსენებულ მასალებში არ მოიპოვება არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა ნამდვილად ჩაიდინა ბრალად შერაცხული დანაშაულები. მთავარმა პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება და 2013 წლის 5 იანვარს ზემოთხსენებულ ეპიზოდებზე ოქრუაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტა, – აღნიშნა პაიჭაძემ.

ფინანსთა სამინისტროს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უფროსმა თეიმურაზ მიქაბერიძემ ბრიფინგზე განაცხადა, ირაკლი ოქრუაშვილს თავდაცვის მინისტრობის პერიოდში ბრალად ედებოდა სამშენებლო ფირმების – „ინტერნეიშენელ ბილდინგ კომპანისა“ და „პრიზასთვის“ უპირატესობის მინიჭება და ხელშეკრულებების გაფორმება სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოზე. ბრალდების მიხედვით, ამ საწარმოებმა შეასრულეს ათობით მილიონი ლარის სამუშაო, საიდანაც კომპანიებმა 100 ათასობით ლარი მიითვისეს.

– ირაკლი ოქრუაშვილს ასევე ბრალად ედებოდა, რომ თავდაცვის მინისტრობის პერიოდში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით უპირატესობა მიენიჭა ფირმა „ტრანსპორტ დეველოპმენტ ელ-თი-დი-ს“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 4 ათასი ტონა საწვავის მიწოდებაზე, ამ შემთხვევაში ფასი მეტი აღმოჩნდა იმავე პერიოდში საქართველოში საწვავის სხვა მომწოდებლის ფასზე, რის გამოც სახელმწიფომ იზარალა 205 500 აშშ დოლარი. გარდა ამისა, მას ბრალად ედებოდა, თითქოს თბილისში, ათონელის ქუჩაზე 2007 წლის აპრილში სხვა პირებთან ერთად შეძენილ ფართში გადაიხადა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული 1 800 000 აშშ დოლარი და ამ გზით მოახერხა მისი ლეგალიზება. გამოძიებისას დადგინდა, რომ თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს ორივე შემთხვევაში ხელს აწერს თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი, ამჟამად ძებნილი იასონ ჩიხლაძე. რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, მის მიმართ მტკიცებულებები არ მოიპოვება არც ერთ ზემოხსენებულ ეპიზოდში, – განაცხადა თემურ მიქაბერიძემ.

მისი განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ გრძელდება სასამართლო განხილვები კიდევ სამ საქმეზე. ერთ-ერთს იხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლო და ეხება ქრთამის აღებას.

– ეს ეპიზოდი საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც „ჯეოსელის“ აქციების უკანონოდ დაუფლების ფაქტი. აქ ბრალდების ძირითად და ერთადერთ პირდაპირ მოწმეს წარმოადგენდა კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ყოფილი თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი, რომელმაც უარყო ადრე მიცემული ჩვენებები. დიმიტრი ქიტოშვილმა განმარტა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ იძულებით მისცა ჩვენება. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა თითქმის ამოწურულია. ამ საქმეშიც პრაქტიკულად აღარ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად დაედო წარდგენილ ბრალდებას და შესაბამისად პროკურატურა გეგმავს უარი თქვას ბრალდებაზე ხსენებულ საქმეში, – განაცხადა თემურ მიქაბერიძემ.

ოქრუაშვილს ასევე ბრალად ედება უკანონო ფორმირების შექმნა და სამსახურებრივ გულგრილობას.

მიქაბერიძის განმარტებით, მთავარი პროკურატურა გულდასმით სწავლობს აღნიშნულ საქმეებს და უახლოეს მომავალში მათთან დაკავშირებითაც მიაწვდის საზოგადოებას კონკრეტულ ინფორმაციას. მისი თქმით, სასამართლომ 4 იანვარს მიიღო უკანონო გადაწყვეტილება ოქრუაშვილთან მიმართებაში.

– პროკურატურა არის ბრალდების მხარე, მხოლოდ პროკურატურას აქვს უფლება, მოითხოვოს პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება. აღკვეთის ღონისძიებიდან ყველაზე მძიმე ღონისძიებაა პატიმრობა, ხოლო უფრო მსუბუქი – გირაო. სასამართლოს უფლება არ აქვს, პირს შეუფარდოს პროკურატურის მიერ მოთხოვნილზე უფრო მძიმე ღონისძიება. სასამართლომ შუამდგომლობა, რომლითაც ჩვენ მოვითხოვდით ირაკლი ოქრუშვილისთვის პატიმრობის შეცვლას გირაოთი არ დააკმაყოფილა და არ დაასაბუთა, რასაც მივიჩნევთ, რომ პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ, რითაც ირაკლი ოქრუაშვილი უკვე სასამართლოს პირადი პატიმარი გახდა, – განაცხადა მიქაბერიძემ.

აქედან გამომდინარე, პროკურატურა ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე საქმეზე 10 იანვარს აპირებს ბრალდებაზე უარის თქმას, რაც გამოიწვევს გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში არჩევნების შემდეგ დაბრუნდა. მან იცოდა, რომ ციხეში ჩასვამდნენ, მაგრამ პარიზს მაინც გლდანის ციხე ამჯობინა. ალბათ ყველას გახსოვთ მისი პირველი სასამართლო პროცესი. ოქროს ახლობლები და თანამოაზრეები ტაშით შეხვდნენ. ტაში და ღვინისძიებები თქვენ მაშინ ნახეთ თუ ოქრუაშვილი გაათავისუფლეს. ისე როგორც ამბობენ, მის მშობლიურ სოფელ ტყვიავში ოქროს დასახვედრად უკვე ემზადებიან.

თავის დროზე, ოქრო სააკაშვილის მემკვიდრედ იყო მიჩნეული. მას პრეზიდენტი ყველაზე მეტად ენდობოდა. ეს სააკაშვილის კარზე არსებულ სხვა კლანებს არ აწყობდათ. ამიტომაც ყველაფერი გააკეთეს, მათ შორის ზორბა შავ კატას, რომ გაერბინა.

2007 წლის 27 სექტემბერს ოქრუაშვილი დააპატიმრეს. მანამდე მან პარტია დააფუძნა და სკანდალური განცხადებები გააკეთა. 2 კვირის შემდეგ ოქრომ ბრალდებები უკან წაიღო, ამის შემდეგ ის გაათავისუფლეს და საქართველოდან გააძევეს. ამის შემდეგ მასზე ძებნა გამოაცხადეს. ამის გამო ოქროს გერმანულ და ფრანგულ ციხეებშიც მოუწია ყოფნამ. თუმცა მალევე გაათავისუფლეს. საფრანგეთმა კი პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.

# ცოლი, ცოლისდა, ბიძაშვილები და მძახალი — ზურაბ ზვიადაურის კლანი ახმეტაში

„ქართული ოცნებიდან“ ახმეტის გამგებლად დანიშნულმა ბექა ბაიდაურმა თანაშემწედ ცოლისდა, 23 წლის მაგდა ლაგაზაური დანიშნა. გამგებლის მოადგილედ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ზვიადაურის ბიძაშვილი ბერდია ზვიადაური დაინიშნა. ზედამხედველობის სამსახურის უფროსად დანიშნული მერაბ ზვიადაურიც დეპუტატის ბიძაშვილია. გამგებლის მოადგილის ბერდია ზვიადაურის ცოლი ლელა ახმეტელი დაინიშნა ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწედ.

„თქვენი აზრით, თანაშემწედ ვინ უნდა დავნიშნო? ვისი ნათესავი უნდა მომეყვანა? თანაშემწე უნდა იყოს ჩემი, სხვას ვერ დავნიშნავ. თანაშემწე, მდივანი და მძღოლი შემიძლია ჩემი სისხლით ნათესავიც იყოს. მე ვარ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი. ყველამ, ვისაც ვნიშნავ, იანვრის ბოლოს უნდა გაიაროს კონკურსი, მათ შორის მეც. თუ ულირსები იქნებიან, ვერ გაივლიან კონკურსს,“ – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბექა ბაიდაურმა.



25 წლის ბექა ბაიდაური ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან დაახლოებით 2 თვეში, ნოემბრის ბოლო რიცხვებში დაინიშნა. ბაიდაური „ქართული ოცნებიდან“ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ზვიადაურის მეგობარია. ბექა ბაიდაური მანამდე კახეთის სააღსრულებო ბიუროში აღმასრულებლად მუშაობდა.

რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწედ გამგებლის მოადგილის ბერდია ზვიადაურის ცოლის დანიშვნას, საკრებულოს თავმჯდომარე ზაქარია ქინქლაძე განმარტავს: „საკრებულოს აპარატში 11 თანამშრომელი იყო და 6–მდე დავიყვანე. ამ 6 თანამშრომლიდან 5 ახალი თანამშრომელია, კვალიფიციური კადრები შევარჩიეთ. ოპტიმიზაცია გავაკეთე, „რეალ ტივის“ ჟურნალისტი ფატი თურქიაშვილი რომ მისაღებში იჯდა და დათო ლორთქიფანიძის ცოლი რომ აპარატის უფროსის მოადგილე იყო და ა.შ. ეს ხალხი რა თქმა უნდა, ჩემთან ვერ იმუშავებდა. თვითონვე დაწერეს განცხადებები და წავიდნენ,“ – განუცხადა ზაქარია ქინქლაძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

ფატი თურქიაშვილი, რომელსაც წინასაარჩევნოდ „რეალ ტვ“–ის კორესპონდენტის სტატუსი ჰქონდა და „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს შსს–ს კუდ–ის თანამშრომლებთან ერთად დასდევდა, საკრებულოდან გათავისუფლების შემდეგ გამგეობაში დაასაქმეს. ის ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო ცენტრის დირექტორად დაინიშნა.

ახმეტის საინფორმაციო ცენტრი ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით 2009 წლის აგვისტოში დაფუძნდა. მისი სამართლებრივი ფორმა არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირია. ახმეტის საინფორმაციო ცენტრი ახმეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. 2012 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ცენტრისთვის 30 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდი გათიშულია მას შემდეგ, რაც არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ახმეტის გამგეობის საინფორმაციო ცენტრი საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაში ამხილა. ამის გამო ახმეტის გამგეობის საინფორმაციო ცენტრის მაშინდელი დირექტორი ომარ მარუქაშვილი სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო და 2 ათასი ლარით დააჯარიმა.

ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ზვიადაურის ნათესავია ზაზა მებაღიშვილიც, რომელიც რამდენიმე დღის წინ, ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ახმეტის სერვის – ცენტრის უფროსად დაინიშნა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ზაზა მებაღიშვილის შვილი ზურაბ ზვიადაურის დის შვილის ცოლია.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ზაზა მებაღიშვილი ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციაში“ ახმეტის სერვის – ცენტრის უფროსის თანამდებობაზე 2008 წელსაც მუშაობდა. 2008 წლის ივლისში, შსს–ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა მებაღიშვილი და ენერგოსადისტრიბუციო კომპანიის გაყიდვების მენეჯერი ბადრი ჩავლეიშვილი დააკავეს. თელავის რაიონულმა სასამართლომ მებაღიშვილი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად, 500 ლარით დააჯარიმა. ბადრი ჩავლეიშვილზე კი სოდ-მა სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა) სისხლის სამართლის საქმე აღძრა. სასამართლომ მაშინ ჩავლეიშვილს აღმკვეთი ღონისძიების სახით 20 ათასი ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა. ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ ზაზა მებაღიშვილს ორგანიზაციის კუთვნილი თანხების მითვისებასაც ედავებოდა. ეს ინფორმაცია კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ენერგოდისტრიბუციის“ თანამშრომლებმა დაუდასტურეს, თუმცა კომპანიას დავა სამართლებრივად არ გაუგრძელებია.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი არაერთი მცდელობის მიუხედავად ახმეტის მაჟორიტარ დეპუტატს ზურაბ ზვიადაურს ვერ დაუკავშირდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ იურისტი ირინე ურუშაძე განმარტავს, რომ თანამდებობებზე ცოლის დის, ბიძაშვილების და მძახლის დანიშვნას კანონი არ კრძალავს, რადგან ისინი „ახლო ნათესავებში“ არ იგულისხმებიან.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე საჯარო მოხელედ არ შეიძლება დაინიშნოს ამ პირის ახლო ნათესავი, კონკურსის წესით დანიშვნის გარდა.“ ხოლო, ამავე კანონით (მე-4 მუხლი): „ა) „ოჯახის წევრში“ იგულისხმება პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი; ბ) „ახლო ნათესავში“ იგულისხმება პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები.“ შესაბამისად, თუკი გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა თავისი ახლო ნათესავი დანიშნა ისეთ თანამდებობაზე, რომელიც მისი ზედამხედველობის ქვეშაა (მაგ. მოადგილე, თანაშემწე, დეპარტამენტის უფროსი და ა.შ.), ეს მხოლოდ კონკურსის წესითაა დასაშვები, მოვალეობის შემსრულებლად უკონკურსოდ დანიშვნა დაუშვებელია, მიუხედავად იმისა, რა ვადით ხდება დანიშვნა. კონკურსის შემთხვევაში კი, ნათესაურ კავშირს არ აქვს მნიშვნელობა. რაც შეეხება, ცოლის დის დანიშვნას, კანონის თანახმად, ეს არაა "ახლო ნათესავი" და სამართლებრივად ეს ვერ ჩაითვლება ინტერესთა კონფლიქტად“, – აღნიშნა იურისტმა.

რაც შეეხება თანამდებობებზე საქართველოს პარლამენტის დეპუტატის

ნათესავების დანიშვნას, ირინე ურუშაძის განცხადებით, მოცემულ შემთხვევაში, არცერთი თანამდებობა დეპუტატის ზედამხედველობის ქვეშ არაა და შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტი სამართლებრივად სახეზე არ არის.

**ნათია დანელიშვილი;**
**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 2-94-02-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 2–94-06-91
**ვებ-გვერდი** www. atb.ge **E-mail: axtaoba@mail.ru**
**რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.**

# კალაძე სააკაშვილს პასუხობს

ნათია ხურცილავა

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა კახა კალაძემ გუშინ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაზე კალაძემ პრეზიდენტ სააკაშვილის იმ განცხადებას უპასუხა, რომლის თანახმადაც, ხობისწყალზე ხობი 1 და ხობი 2 ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რომელიც უნდა დაწყებულიყო, არ დაიწყო.

კალაძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბოლო დროს გაკეთებული განცხადებებით ქართველი ხალხის მტერი გახდა და ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლას ხელს უშლის.

მიხეილ სააკაშვილმა თავის გამოსვლაში ისაუბრა იმ პროექტებზე, რომლებიც, როგორც თავად ამბობს, უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ შეჩერდა.

ხელისუფლების წარმომადგენლები პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანაზე საუბრობენ.



კახი კალაძე კი მიხეილ სააკაშვილის განცხადებას სიცრუეს უწოდებს.

– მინდა, გამოვეხმაურო სააკაშვილის გუშინდელ განცხადებას და ავუხსნა მოსახლეობას, რომ ეს არის სიცრუე. პრეზიდენტი განაგრძობს იმ დემაგოგიას, რასაც 9 წლის განმავლობაში აკეთებდნენ, დღეს ყველამ ყველაფერი იცის. ამ ჰესების მშენებლობა გეგმის ფარგლებში მიმდინარეობს და არანაირ შეფერხებას ადგილი არ ჰქონია. როცა ჩვენი მთავრობა დაინიშნა, ჩვენ ყველა ინვესტორს გავუგზავნეთ წერილი, რომელშიც მთავრობა მზაობას გამოთქვამდა ახალი ჰესებისა და ახალი სიმძლავრეების მშენებლობაზე. ამდენად, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ სააკაშვილს, უაზრო და აბსურდული განცხადებების გაკეთებას შეეშვას, – განაცხადა კალაძემ და დასძინა, რომ ხობიჰესის მშენებლობა, გეგმის თანახმად, მიმდინარე წლის მარტში დაიწყება.

– დღეს სხვა რეალობაა, სხვა საქართველო, ქვეყანას ჰყავს ხალხის მთავრობა და ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. ეს ადამიანი კი ბოლო დროს გაკეთებული განცხადებებით ქართველი ხალხის მტერი ხდება და ინვესტიციების შემოსვლას ხელს უშლის, – აღნიშნა კალაძემ.

ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა ხობიჰესის პროექტის განმახორციელებელი კომპანიის „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიის“ გენერალური დირექტორის დიმიტრი აბესაძის მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ამჟამად ობიექტებზე გეგმით დადგენილი სამუშაოები მიმდინარეობს.

– გვინდა, აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ როგორც წინა პერიოდში, ასევე ამჟამადაც ჩვენი კომპანია სრული მხარდაჭერით სარგებლობს ენერგეტიკის სამინისტრის მხრიდან აღნიშნული პროექტის განხორციელების საქმეში, რაც კიდევ ერთხელ წერილობით დადასტურდა გასული წლის დეკემბერში და, შესაბამისად, გავლენა იქონია ჩვენს ურთიერთობებზე იმ ფინანსურ ინსტიტუტებთან, რომლებთანაც მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კომპანიის მხრიდან პროექტის დათქმულ ვადებში განხორციელებისთვის ყველაფერი კეთდება, – ნათქვამია წერილში, რომელსაც ხელს დიმიტრი აბესაძე აწერს.

# ირაკლი ალასანია: „საბრძოლო მოქმედებებში ჩვენი შეიარაღებული ძალები მონაწილეობას აღარ მიიღებენ“

## რაზე ესაუბრა ჰოლანდიელი დეპუტატი ხელისუფლების წარმომადგენლებს

ნათია ხურცილავა

**საქართველოში ვიზიტით ჰოლანდიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ტენ ბრუკი იმყოფება. ჰოლანდიის პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოში ვიზიტით 10 იანვრამდე დარჩება.**

ტენ ბრუკმა უკვე გამართა შეხვედრები თავის ქართველ კოლეგა ირაკლი სესიაშვილთან, თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან, საგარეო უწყების ხელმძღვანელ მაია ფანჯიკიძესთან, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძესთან და ვიქტორ დოლიძესთან.

ჰოლანდიის დეპუტატი ასევე შეხვდა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელ დავით დარჩიაშვილს.

პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი დარწმუნებულია, რომ ჰოლანდია საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესში მხარს დაუჭერს.

ამის შესახებ სესიაშვილმა ჟურნალისტებს სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ ჰოლანდიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ტენ ბრუკთან შეხვედრამდე განუცხადა.

– ტენ ბრუკი ჩემი პირდაპირი კოლეგაა. ის არის ნატო-ს საპარლამენტო დელეგაციის წევრი. შეხვედრაზე ვისაუბრებთ საპარლამენტო კონტროლის საკითხებზე, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, თავდაცვის სექტორსა და სამოქალაქო კონტროლის თემებზე. ვფიქრობ, ტენ ბრუკის მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ვეცდებით, მაქსიმალურად ღიად ვისაუბროთ ყველა იმ პრობლემატურ საკითხზე, რომლებიც არსებობს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე ნატო-ს წევრ სახელმწიფოებში და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჰოლანდია მხარს დაუჭერს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესში, – განაცხადა სესიაშვილმა.

პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ თავდაცვის მინისტრის განცხადებაზეც გააკეთა კომენტარი. ირაკლი ალასანიას განცხადებით, აისაფის ოპერაციის შემდეგ ქართული ჯარი არც ერთ საერთაშორისო საბრძოლო ოპერაციაში არ მიიღებს მონაწილეობას.

პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, საქართველოს საერთაშორისო საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის საკითხზე პოლიტიკური გადაწყვეტილება პოზიციების შეჯერების შედეგად იქნება მიღებული.

– ჩვენი საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა – ეს არის ერთგვარი ჩვენი წვლილი მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფაში. მე ვთვლი, რომ ჩვენი მონაწილეობა საერთაშორისო ოპერაციებში უნდა გაგრძელდეს, თუმცა ვისურვებდი, რომ ის რისკები, რაც თუნდაც ავღანეთში ჩვენი სამხედროების წინაშე არსებობს, მაქსიმალურად შემცირდეს. პატარა ქვეყნისთვის, რომელსაც ამდენი პრობლემა აქვს, ძნელია ასეთ რისკზე წასვლა, მაგრამ შესაძლებელია, საუკეთესო გადაწყვეტილება იყოს მიღებული, რაც, ერთი მხრივ, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს და, მეორე მხრივ – ჩვენი მოქალაქეების. პრინციპში, მე პირადად მხარს ვუჭერ ამ გადაწყვეტილებას, თუმცა ესაა პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელსაც ქართული სახელმწიფო მიიღებს პოზიციების შეჯერების შედეგად, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებასთან, – განაცხადა სესიაშვილმა.



აისაფის ოპერაციის დასრულების შემდეგ ავღანეთში ქართული ჯარის ამოცანები საბრძოლო აღარ იქნება. საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, უკვე მიმდინარეობს დაგეგმარება, როგორი მისია ჩამოყალიბდება აისაფის დასრულების შემდეგ.

– ხაზი მინდა გავუსვა, რომ ჩვენი ამოცანები არ იქნება სამხედრო, საბრძოლო. საბრძოლო მოქმედებებში ჩვენი შეიარაღებული ძალები აღარ მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენი ამოცანები იქნება, დავეხმაროთ ავღანეთის უსაფრთხოების სტრუქტურებსა და ჯარს, რომ გამოცდილება გავუზიაროთ, მივცეთ შესაძლებლობები განათლების მიღებისა ჩვენს თავდაცვის აკადემიაში, – აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საქართველო უკვე მონაწილეობს ნატოსთან ერთად დაგეგმარების პროცესში, თუ როგორი მისია ჩამოყალიბდება თავად ნატოში და ინდივიდუალური ქვეყნები როგორ გააგრძელებენ საკუთარ პროგრამას ავღანეთთან.

– ამის მიხედვით ჩვენ ჩამოვაყალიბებთ უკვე საკუთარ სტრატეგიას, რა ფორმით, ვისთან ერთად დავეხმარებით ავღანეთის უსაფრთხოების ძალებს გაწვრთნაში, – განაცხადა ალასანიამ.

ტენ ბრუკი საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას შეხვდა. შეხვედრაზე, როგორც ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, რეფორმების გზისა და კოჰაბიტაციის გაგრძელებაზე იყო საუბარი. როგორც ტენ ბრუკმა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრაზე თავდაცვის უწყებაში მიმდინარე რეფორმები განიხილეს.

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამხედრო უწყება იყოს დამოუკიდებელი და არაპოლიტიკური. მე ვესაუბრე მინისტრს, რომ გააგრძელოს რეფორმების გზა და კოჰაბიტაცია. ჩვენ საინტერესო და სასარგებლო დისკუსია გვქონდა, – განაცხადა ტენ ბრუკმა ირაკლი ალასანიასთან შეხვედრის შემდეგ.

კიდევ ერთი განცხადება გააკეთა თავდაცვის მინისტრმა ჟურნალისტებთან. 2016 წლისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალები შესაძლოა მთლიანად საკონტრაქტო სამსახურზე გადავიდეს. ირაკლი ალასანიას განცხადებით, საკონტრაქტო სამსახურზე გადასვლა ეტაპობრივად განხორციელდება. პირველ ეტაპზე იგეგმება სავალდებულო სამსახურის ვადის 12 თვემდე შემცირება.

– გვაქვს სურვილი და ვგეგმავთ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები მთლიანად გადავიდეთ სამხედრო საკონტრაქტო სამსახურზე. აქედან გამომდინარე, ეტაპობრივად შევამცირებთ სავალდებულო გაწვევის ვადებსაც და რაოდენობასაც, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, სავალდებულო სამხედრო სამსახური ერთწლიანი გახდება.

– ბუნებრივად ჩვენ შევამცირებთ სავალდებულო სამხედრო გაწვევის ვადებსაც და რაოდენობასაც. პირველ ეტაპზე იგეგმება 12 თვემდე შემცირდეს სავალდებულო სამსახური. იანვრის ბოლოსკენ უკვე ცნობილი იქნება ვადებში გაწერილი ზუსტი ხედვა და მას საზოგადოებას წარვუდგენთ, – განაცხადა ალასანიამ.

ალასანიას თქმით, თავდაცვის უწყების ზუსტი ხედვა ვადებთან დაკავშირებით ცნობილი იანვრის ბოლოს გახდება.

ჰოლანდიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ტენ ბრუკი ასევე შეხვდა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და ევროინტეგრაციის კომიტეტების თავმჯდომარეებს თედო ჯაფარიძესა და ვიქტორ დოლიძეს შეხვდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ვიქტორ დოლიძემ განუცხადა, ევროპაში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი ძალიან დიდი ინტერესია.

– მოგეხსენებათ, რომ ძალიან დიდია ჩვენი ევროპელი პარტნიორების ინტერესი საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი. ასე რომ, შევეხეთ ყველა თემას, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან. ევროინტეგრაციის საკითხებთან, მოგეხსენებათ, ეს წელი ძალიან მნიშვნელოვანია, ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების თვალსაზრისით, ბევრი საშინაო დავალებაა შესასრულებელი და ყველა ეს საკითხი გავიარეთ, – განაცხადა დოლიძემ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰოლანდიის პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეს შეხვდა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი დავით დარჩიაშვილი.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა დავით დარჩიაშვილმა ჰოლანდიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ტენ ბრუკთან საქართველოს საშინაო და საგარეო გამოწვევები განიხილა.

– ვისაუბრეთ იმაზე, რა არის ჩვენი, ოპოზიციის აზრით, გამოწვევები როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკაში, რჩება თუ არ რჩება საქართველო ნამდვილად, გულწრფელად და არა რიტორიკისა და დეკლარაციების დონეზე ევროატლანტიკური კურსის ერთგული?! მე ვუთხარი მას, რომ ვფიქრობ, ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების ყოფნა, მიუხედავად იმ ტრაგიკული შემთხვევებისა, რომელთაგან ერთ-ერთი სულ ახლახან მოხდა, არის უზარმაზარი გამოცდილება ქართველი სამხედრო ძალების პროფესიონალიზმის ამაღლების კუთხით, – განაცხადა დარჩიაშვილმა.

ტენ ბრუკმა ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ ასეთი კომენტარი გააკეთა:

– ძალიან ბევრი საკითხი განვიხილეთ. მქონდა გარკვეული შეკითხვები, რომლის შესახებაც ოპოზიციის აზრი მაინტერესებდა და მოხარული ვარ, რომ ამის შესახებ ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა მქონდა. საუბრისას განვიხილეთ თავდაცვის საკითხები, ავღანეთის სამშვიდობო ოპერაცია და საქართველოში არსებული ვითარება, – აღნიშნა ჰოლანდიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ.




## გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე დღეიდან საგამოცდო კრებული განთავსდება

საგამოცდო კრებული – „როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის“, დღეიდან გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსდება და ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

ცენტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, კრებულში აბიტურიენტებისთვის და პედაგოგებისათვის ყველა საჭირო ინფორმაციაა შესული და თან ახლავს რეკომენდაციები, რჩევები და ტესტური დავალებების ნიმუშები.

კრებული ყველა საგამოცდო საგნისთვისაა გათვალისწინებული. გამოცემა პედაგოგთა სერტიფიკაციო გამოცდისთვისაც მომზადა, ხოლო გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემავალი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, კრებული ცალკე დაიბეჭდება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის პროცესზე დეტალურ ინფორმაციას კი, აბიტურიენტები და პედაგოგები იანვრის ბოლომდე მიიღებენ.

ნიუსპრესი

## იტალიაში მკვლელობაში ეჭვმიტანილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს

იტალიაში, ტოსკანას რეგიონში, 90 წლის ქალის მკვლელობაში ეჭვმიტანილი 24 წლის ნათია თათარაშვილი დააკავეს.

იტალიური მედიის ინფორმაციით, ნათია თათარაშვილი 5 წლის განმავლობაში გარდაცვლილთან ერთად ცხოვრობდა და მის მომვლელად მუშაობდა. ერთ-ერთი ვერსიით მკვლელობა შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.

ქართული ტელეკომპანიების ინფორმაციით, თათარაშვილს ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა და მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, მან თვითმკვლელობაც სცადა.

ნიუსპრესი

## ნუცუბიძის ქუჩაზე „საქართველოს ბანკის“ ფილიალი დააყაჩაღეს

თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ფილიალი დააყაჩაღეს. სამართალდამცველებმა საქმე უკვე გახსნეს და დანაშაულში ეჭვმიტანილები ცხელ კვალზე დააკავეს.

უცნობია, თუ რამდენი ადამიანი მონაწილეობდა ყაჩაღობაში და მოახერხეს თუ არა მათ ბანკიდან თანხის გატანა.

როგორც „მედიანიუსს“ შსს-ს პრესცენტრის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა განუცხადა, ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები ამ დრომდე მუშაობენ.

„ოფიციალური განცხადება უახლოეს ხანებში გავრცელდება“, – ამბობს გიორგობიანი.

მედიანიუსი

# უცხოელი ინვესტორები სააკაშვილს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებენ

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს პრეზიდენტის განცხადებები არაერთხელ გამხდარა დიდი ალიაქოთის საბაბი. მის განცხადებებს აქამდე ქვეყნის შიგნით აკრიტიკებდნენ. ოპონენტები თუ რიგითი მოქალაქეები მას ხშირად საყვედურობდნენ, რომ დეზინფორმაციას ავრცელებდა. ამჯერად სიცრუის გავრცელებაში მას უცხოელი ინვესტორები ადანაშაულებენ.**



ასეთი რეაგირება 7 იანვარს სააკაშვილის გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა. პრეზიდენტის მტკიცებით, არაბულმა საინვესტიციო ჯგუფმა „დაბი ჯგუფმა“ საქართველოში პროექტი შეაჩერა. ეს პროექტი რუსთაველის გამზირზე 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობას ითვალისწინებდა.

საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრმა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საპასუხოდ საგანგებო განცხადება გაავრცელა.

– რამდენადაც „დაბი ჯგუფი“, როგორც ინვესტორი, ქვეყანაში სწორედ ჩვენმა ცენტრმა შემოიყვანა და დიდი ხნის განმავლობაში მის საქმიანობასაც წარმართავდა, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ პრეზიდენტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ინვესტორმა პროექტის განხორციელება შეაჩერა ახალი მთავრობის მიერ წარმოებული პოლიტიკის მიზეზით, სიმართლეს არ შეესაბამება. პროექტის დაფინანსება და განხორციელება შეწყდა 2010 წლის გაზაფხულზე „დაბი ჯგუფი“-ს ერთ-ერთი მენეჯერის – სამი ედვარდსის საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან კორუფციული გარიგების მიზეზით. კერძოდ, აღნიშნული სახელისუფლებო კორუფციული ჯგუფი ინვესტორთა დეზინფორმირების გზით ცდილობდა და ცდილობს აღნიშნული პროექტის განხორციელებით მიიღოს სარგებელი და წარმართოს საქმიანობა საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით. მათი ქმედებები მიმართულია უშუალოდ ინვესტორისა და ქვეყნის ინტერესების საზიანოდ. განცხადება აღნიშნულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით უკვე შესულია მთავარ პროკურატურაში და მიმდინარეობს ძიება. გასული წლის 7 ოქტომბერს, მერიის მიერ დამტკიცებული პროექტის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს ინვესტორის მიერ 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს აშენებას, კულტურის სამინისტრომ პროექტის მენეჯერებს მისცა რეკომენდაცია ქალაქის არქიტექტურულ მემკვიდრეობასა და იერსახესთან პროექტის შესაბამისობაში მოყვანაზე. ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, „დაბი ჯგუფი“ არის საკმაოდ წარმატებული და საქართველოს მიმართ ლოიალურად განწყობილი კომპანია. დარწმუნებული ვართ, აღნიშნული ჯგუფი მომავალშიც განაგრძობს საქართველოში საინვესტიციო პროექტების განხორციელებას, ხოლო პრეზიდენტის მიერ ასეთი განცხადების მიზანი არის ახალი ხელისუფლების მიმართ პოტენციური ინვესტორების უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, რითაც, ჩვენი აზრით, ზარალდება არა რომელიმე მხარე, არამედ მთლიანად ქვეყნის საინვესტიციო იმიჯი, – ნათქვამია სააკაშვილისადმი საპასუხო განცხადებაში.

საქართველოს პრეზიდენტი შობა დღეს მთავრობის მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებებს გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე მნიშვნელოვანი მშენებლობა შეჩერდა.

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მიუღებელია იმ მშენებლობებისა და სხვადასხვა პროექტის შეჩერება, რომლის შედეგადაც ქვეყანაში ათასობით სამუშაო ადგილი უნდა შექმნილიყო.

მიხეილ სააკაშვილისთვის ასევე მიუღებელია ის ფაქტი, რომ ახალი წლის დღეებში ბევრმა ადამიანმა დაკარგა სამსახური. მისივე შეფასებით, მსგავსი პროცესები ქვეყნის წინსვლასა და ტურიზმის განვითარებას აფერხებს.

– ახლახან ჩამოვედი არაბთა გაერთიანებული საამიროდან. ყოველთვის მინდოდა, რომ საქართველო ყოფილიყო ისეთივე გრანდიოზული, ლამაზი, განვითარებული, როგორც ეს ქვეყანაა, ჩვენ ვიყავით იმ ზღვრამდე მისულები, რომლის იქითაც მსგავსი სახის განვითარება იწყებოდა. ბევრი პროექტის განხორციელებას ვგეგმავდით, არაბეთის საამიროებში მითხრეს, რომ ახალმა ხელისუფლებამ სასტუმროს მშენებლობა შეაჩერა, ეს პროექტი ხორციელდებოდა უცხოელი ინვესტორების მიერ, ახალმა მთავრობამ პროექტის შეჩერებით 20 ათასი თანამემამულე დატოვა სამსახურის გარეშე სრულიად აბსურდული, გამოგონილი საბაბით. სასტუმროს მშენებლობის პროექტის შეჩერება არ იყო ერთადერთი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ დაბლოკა. ხელისუფლებამ თბილისის აეროპორტში ახალი ასაფრენი ზოლის მშენებლობაც შეაჩერა. თბილისის აეროპორტში ახალი ასაფრენი ზოლის მშენებლობა გააჩერეს, რომელიც რამდენიმე თვის წინ დავიწყეთ. ასეთ პირობებში ქვეყანა დაკარგავს 100 ათასობით ახალ ტურისტს და შემოსავალს. ამასთან, ახალმა ხელისუფლებამ უარი თქვა ხონის წყალზე 1-ელი იანვრიდან ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებაზე. მინდა, რომ ეს დროებითი გაუგებრობა აღმოჩნდეს და ხალხი შემდეგ ახალ წელს ბევრად კმაყოფილი შეხვდეს. იმედი მაქვს, რომ ეს არ არის ალმშენებლობის შეჩერებისა და დანგრევის შეგნებული პოლიტიკა, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

# დარიალისა და ხდის ხეობებს ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრებათ

## რატომ არ ასრულებს „ქართული ოცნება“ დანაპირებს

შორენა მარსაგიშვილი

**ეკოლოგები ამაოდ მოითხოვენ გიგანტური ჰესების მშენებლობის შეჩერებას. ძველი ხელისუფლება მათ მოთხოვნებსა და დასკვნებს იგნორირებას უკეთებდა. არჩევნების წინ მეოცნებეებმა ეს ფაქტი კარგად გამოიყენეს, პირობა დადეს, ამ პრობლემას შევისწავლით და ჰესების მშენებლობასაც შევაჩერებთო. ამის პირობა ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის მინისტრებმაც დადეს, თუმცა პირობა პირობად დარჩა.**

დარიალის ხეობაში ჰესის მშენებლობას დიდი ამბები მოჰყვა. ეკოლოგების განცხადებით, ეს ჰესი ხეობას სავალალო დღეში ჩააგდებს. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ამ ჰესის მშენებლობის იდეა ვანო მერაბიშვილს ეკუთვნოდა. შესაბამისად მერაბიშვილს ვინ შეჰკადრებდა, ჰესი არ ააშენოო.

ახლა ვანო ის ვანო აღარაა, მაგრამ ჰესის მშენებლობა მაინც გრძელდება. უფრო მეტიც, იქვე მეორე ჰესსაც აშენებენ. ეს ჰესი ხდის ხეობას უქმნის საფრთხეს. არასამთავრობო ორგანიზაცია მწვანე ალტერნატივა ამაოდ ითხოვს ჰესების მშენებლობის შეჩერებას.

გასული წლის ბოლოს, „მწვანე ალტერნატივამ“ და „სტეფანწმიდამ“ შპს „ყაზბეგი ჰესს“ წარუდგინეს შენიშვნები და კომენტარები ყაზბეგის რაიონში, მდ. ბროლისწყალზე (ხდისწყალი, ქისტურა) 6 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საზოგადოებრივი განხილვისთვის წარმოდგენილი ვერსიის თაობაზე.

შპს „ყაზბეგი ჰესი“ გეგმავს ყაზბეგის რაიონში, მდინარე თერგის მარჯვენა შენაკადზე, ბროლისწყალზე (ხდისწყალი, ქისტურა), 6 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. დაგეგმილი „ბროლისწყლის ჰესის“ საპროექტო ტერიტორია განთავსებული იქნება საქართველო-რუსეთის საზღვარზე მდებარე ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან რამოდენიმე ასეულ მეტრში. „ბროლისწყლის ჰესი“ იქნება დერივაციული ტიპის ჰესი და დარიალის ხეობაში მშენებარე დარიალის ჰესის მსგავსად, ითვალისწინებს დერივაციის მონაკვეთში (1 კმ-ზე მეტ მანძილზე) მდინარეში




მხოლოდ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დატოვებას.

არასამთავრობო ორგანიზაციები თვლიან, რომ კომპანიის მიერ საზოგადოებრივი განხილვისთვის წარმოდგენილი პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უხარისხოა და არ წარმოაჩენს პროექტის გარემოზე შესაძლო ზეგავლენის შედეგებს, როგორც ამას საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს. ამასთან, პროექტის შესახებ ამ ეტაპზე არსებული ინფორმაცია (პროექტის განხორციელების საჭიროების დაუსაბუთებლობა, პროექტის დიზაინი, ჰიდროლოგიური მონაცემების არარსებობა, ბოტანიკური და სხვა სახის კვლევების არასრულფასოვნება/არარსებობა, ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა და სხვ.) იძლევა საფუძველს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოითხოვონ პროექტის შეჩერება. სანაცვლოდ, არასამთავრობო ორგანიზაციები ურჩევენ კომპანიას, ბროლისწყლის ხეობაში უკვე არსებული, კომპანიის საკუთრებაში მყოფი 1.5 მგვტ დადგმული სიმძლავრის ყაზბეგის ჰესის რეაბილიტაციას და თანამედროვე დანადგარებით აღჭურვას.

ახალი ხელისუფლება ძველის მსგავსად არასამთავრობოების შეგონებებს არ ისმენს. გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროებში კომენტარების გაკეთებაც კი ეზარებათ.

„ფეისბუქზე“ შეიქმნა სპეციალური გვერდი „გადავარჩინოთ ხდის ხეობა“. უახლოეს მომავალში გვერდის ავტორები სხვადასხვა ღონისძიებებსაც მოაწყობენ.

ამ გვერდის ავტორთა განმარტებით, უნიკალურ ხდის ხეობას (ყაზბეგის რაიონი) განადგურება ემუქრება. ხეობაში, მსგავსად დარიალის ხეობისა, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმება. მშენებლობა იანვრიდან იწყება და პროექტის თანახმად, 7 თვეში უნდა დასრულდეს. ისევე, როგორც დარიალის ხეობაში, სადაც მდინარე თერგი გვირაბში უნდა მოექცეს, აქაც მდინარე ხდისწყალი, რომელიც ხეობის უნიკალურობის განმსაზღვრელია და მას კიდევ უფრო ალამაზებს, მილში უნდა მოაქციონ, ხოლო თვითონ ხეობის ის ნაწილი, სადაც ჰესი განთავსდება, უნდა გადაითხაროს (აღსანიშნავია, რომ პროექტის თანახმად, ხეობაში უნდა ჩატარდეს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები).

შავანასა და ყუროს ქედების ფიქლოვანი მაღალი კედლებით გარშემოზღუდული ხდე – კლდეების, ღორნალების, მყინვარების, ალპური მდელოებისა და ჭორომ-ჩანჩქერიანი ნაკადების განმარტოებულ სამეფოს წარმოადგენს. იგი დარიალის ახლად აშენებული სამონასტრო კომპლექსიდან იწყება და რამდენიმე კილომეტრზე გრძელდება.

ზამთრობით აქ ჯოგებად ცხოვრობენ ჯიხვები და არჩვები, რომლებიც ამ დროს ხდის ხეობაში თავს უშიშრად გრძნობენ. ზუსტად ხდის ხეობაში არის ჯიხვების ყველაზე დიდი პოპულაცია მთელს ყაზბეგის რაიონში.

ასევე აღსანიშნავია, რომ ხდის ხეობა შეტანილი იყო საქართველოს სსრ „წითელ წიგნში“, როგორც ბუნების ძეგლი. „წითელ წიგნში“ აღნიშნულია, რომ ხდის მყუდრო ხეობა წარმოადგენს მრავალი იშვიათი სახეობის თავშესაფარს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტში შეტანილია კანონპროექტი „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ,“ სადაც ერთ-ერთ ბუნების ძეგლად განსაზღვრულია ხდისწყლის ხეობა.

მთლიანობაში ხდის ხეობა ბუნების ერთი დიდი ძეგლია და მის თუნდაც ნაწილზე მსგავსი მასშტაბის სამშენებლო სამუშაოები გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს მთლიანად ხეობას.

ამ ხეობის ყველაზე ხშირი სტუმრები მთამსვლელები არიან. ზაფხულის განმავლობაში ხეობას უამრავი მთის მოყვარული სტუმრობს და იპყრობს აქ არსებულ სხვადასხვა მწვერვალს. ქართველ მთამსვლელთა და უბრალოდ მთისმოყვარულთა უმეტესობას სწორედ ხდის ხეობაში აქვს მიღებული ალპინისტური ნათლობა.

„დარიალჰესის“ გარშემო ბევრჯერ ატყდა განგაში. ამის შესახებ „ახალი თაობაც“ ხშირად წერდა. ამიტომაც დეტალებით თავს არ შეგაწყენთ.

მხოლოდ შეგახსენებთ, რომ 110 მეგავატი დადგმული სიმძლავრის დარიალიჰესი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რუსეთ – საქართველოს საზღვართან, მდინარე თერგის მარჯვენა ფერდზე, მდინარე ყუროს და ხდის წყალს შორის შენდება. ჰესს შპს „დარიალ ენერჯი“ აშენებს. მთავრობის ინფორმაციით, ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში 120 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა ჩაიდოს. ჰესი ექსპლუატაციაში 2014 წელს უნდა შევიდეს. „დარიალჰესის“ მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას ზამთარში საქართველო მოიხმარს, ზაფხულში კი ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში უნდა განხორციელდეს.

ეკოლოგების დასკვნით, ეს ხეობას დიდ ზიანს მიაყენებს. ეს დასკვნა არც ძველ ხელისუფლებას აინტერესებდა და არც ახალს აინტერესებს. არადა, როგორც თავში უკვე აღვნიშნეთ, მეოცნებეებმა პირობა დადეს, რომ ჰესის მშენებლობა შეჩერდებოდა.

არასამთავრობოები და ეკოლოგები ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში გააქტიურდებიან. გამოიღებს თუ არა შედეგს მათი პროტესტი, ვერ გეტყვით. ფაქტი ისაა, რომ გარემოს დაცვის მინისტრი ამ თემაზე კომენტარებსაც კი გაურბის და პასუხად არამოტივირებული სიცილი აქვს გამზადებული.

# ოლეგ მელნიკოვს საქართველოში აუცილებლად ჩამოიყვანენ

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი ოლეგ მელნიკოვი აუცილებლად იქნება ჩამოყვანილი საქართველოში.

„ჩვენ დავიცავით ის ვადები, რაც არის მინსკის კონვენციით და ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული და 16 იანვარს ექსტრადიციის ვადა არ გადის. ის ვადები მინსკის კონვეციით ეს გახლავთ 30 დღე და ევროპული კონცენციით მაქსიმუმ 40 დღე. ეს არის ვადა, რომელშიც საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უნდა წარადგინოს მასალები. ეს მასალები იქნა ვადაში წარდგენილი და ამჟამად ჩვენი უკრაინელი კოლეგები მუშაობენ იმაზე, რომ ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა დააკმაყოფილონ. ამასობაში ოლეგ მელნიკოვი რჩება უკრაინაში საექსტრადიციო პატიმრობაში და დარჩება ის ამგვარ პატიმრობაში, სანამ არ იქნება ჩასმული თვითმფრინავში და გამომგზავრებული თბილისში“,-აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 7 დეკემბერს, 2012 წლის 5 დეკემბრიდან საერთაშორისო ძებნილი ოლეგ მელნიკოვი უკრაინაში, ქალაქ კიევში უკრაინის სამართალდამცავმა ორგანოებმა საქართველოს ინტერპოლის წარმომადგენლობიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს.

მას ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედება.

მედიანიუსი

# შსს-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკის დამზადება-შენახვის ფაქტზე ერთი მოქალაქე დააკავა



გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ დამზადება-შენახვის ფაქტზე, მოქალაქე სერგო ო. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აღმოჩნდა, რომ დაკავებულს, საცხოვრებელი ბინის ერთ-ერთ ოთახში, მოწყობილი ჰქონდა ე.წ „სათბური“, სადაც ის „მარიხუანას“ ქოთნებში ზრდიდა და ინახავდა. ოთახში ასევე ნაპოვნია ნარკოტიკული ნივთიერების დამზადებისთვის საჭირო სხვადასხვა მოწყობილობა. დიდი ოდენობით „მარიხუანა“ იყო პოლიეთილენის პარკებში, შუშის ქილებსა და ქოთნებში.

ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ სამართალდამცველების მიერ სახლისა და პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალების მთლიანი წონა 400 გრამია.

დაკავებულმა დანაშაული აღიარა. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 260-ე მუხლის II ნაწილითაა აღძრული.

ნიუსპრესი

# ქვეყანაში კვალიფიციური პედაგოგების დეფიციტია

მერი ნამორაძე

რა შემთხვევაში იქნება განათლების სფეროში გატარებული რეფორმა წარმატებული? რეფორმის წარმატება რომ მის ფინანსურ უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული, ამაზე არავინ დავობს. განათლების ბიუჯეტის ზრდა ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო საიმისოდ, რომ რეფორმა რეალურად დაიწყებოდა და ყველა რგოლს მისწვდებოდა — საჯარო სკოლებიდან დაწყებული, სამეცნიერო სკოლების აღორძინებით დამთავრებული. საახალწლოდ მინისტრმა პედაგოგებს ხელფასის მატების შესახებ ახარა. 2013 წლიდან მასწავლებელთა ხელფასი 60-70 ლარით მოიმატებს. დამოკიდებულებისა და ყურადღების ცვლილება პედაგოგებმა აშკარად იგრძნეს. იგრძნეს, რომ ისინი საარჩევნო ხმების ყულაბას კი არ წარმოადგენენ, არამედ მომავალი თაობის განათლება ევალებათ და, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც მეტი დაეკისრებათ მოვალეობის შესრულებისას.



განათლების სფეროს ექსპერტები კარგა ხანია საუბრობენ იმაზე, რომ ქვეყანაში კვალიფიციური პედაგოგების დეფიციტია. რატომ უნდა ხდებოდეს აქცენტის გაკეთება ისევ კვალიფიკაციაზე, როცა პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდები წარმატებით დაძლია მასწავლებელთა სოლიდურმა რაოდენობამ? განათლების მესვეურები სასერთიფიკაციო გამოცდებში შესატან ცვლილებებზე ალაპარაკდნენ, თუმცა ჯერჯერობით არ კონკრეტდება, რა სახის ცვლილებებზე გაკეთდება აქცენტი.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობაზე საუბრობს გია დვალის განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიაც. როგორი იქნება ქვეყანაში პედაგოგთა პროფესიული განვითარების კონცეფცია? განათლების რეფორმის სახელმწიფო კომისიის ხედვა ამასთან დაკავშირებით პედაგოგთა წახალისებას გულისხმობს. ამასთან, კომისიაში სკოლასა და მეცნიერებას შორის კავშირის აღდგენა-დამყარების აუცილებლობაზე საუბრობენ. კვალიფიკაციის ამაღლება რეგულარული ტრენინგების გარეშე შეუძლებელი იქნება, ამიტომ სამინისტრო უახლოეს მომავალში კვალიფიკაციის ასამაღლებლად რეგულარულად შესთავაზებს ტრენინგებს პედაგოგებს.

თუ სიმართლე გნებავთ, კვალიფიციურ პედაგოგთა დეფიციტზე საუბარი გადაჭარბებულიც კი ჩანს იმ ფონზე, როცა ლამის აბიტურიენტთა 80 პროცენტი სტუდენტი ხდება სწორედ სკოლის მასწავლებელთა რეპეტიტორობის წყალობით. მოგეხსენებათ, უმაღლესი სასწავლებლის რეპეტიტორთან მომზადების ფასი გაცილებით ძვირია, ვიდრე სკოლის პედაგოგისა, ამიტომ უმრავლესობა ხელმისაწვდომობის გამო რეპეტიტორად ისევ სკოლის მასწავლებელს ირჩევს. სხვა საკითხია, რატომ ასრულებს საკუთარ მოვალეობას პედაგოგი უკეთესად რეპეტიტორის ამპლუაში, ვიდრე საჯარო სკოლის საკლასო ოთახში? პასუხი მარტივია, რეპეტიტორობისას უკეთ უხდიან და მუშაობითაც მაქსიმუმ 4-5 ბავშვთან ერთად მუშაობს, 30 ბავშვისგან განსხვავებით. მოკლედ, აბსოლუტურად სწორ სტრატეგიას ირჩევს განათლების რეფორმების სახელმწიფო კომისია, როცა პედაგოგთა ფინანსურ წახალისებაზე საუბრობს. განათლების სისტემის განვითარების ახალი კონცეფცია გია დვალის ხელმძღვანელობით საინიციატივო ჯგუფის წევრებთან ერთად შემუშავდა. როგორც კონცეფციის ავტორები ამბობენ, ხარისხი კვალიფიციური პედაგოგის მომზადებით და საუკეთესო მასწავლებლების წახალისების თუ კარიერული ზრდის დანერგვით იქნება მიღწეული. წარმატებულ პედაგოგებს ექნებათ მაღალი სოციალური სტატუსი და ყველაფერი აისახება ხელფასზე.

საჯარო სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლებამ მეტი ნდობა უნდა გააჩინოს ატესტატის ქულების მიმართ და არ არის გამორიცხული, რამდენიმე წელიწადში ერთიანი ეროვნული გამოცდები სრულიად ზედმეტი გახდეს. შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვა საატესტატო გამოცდების შედეგების მიხედვით მოხდეს. თუ სახელმწიფო ენდობა საჯარო სკოლაში სწავლების ხარისხს, რა საჭიროა დამატებითი ხარჯები ერთიანი ეროვნული გამოცდების მოსამზადებლად? როცა მოსწავლემ იცის, სკოლის პედაგოგზეა დამოკიდებული მისი უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა — არჩარიცხვა, პედაგოგის ავტორიტეტიც გაცილებით მაღალი იქნება და საჯარო სკოლისაც. მოკლედ, საფიქრალი სამინისტროს თუ განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო კომისიას ჯერ კიდევ ბევრი აქვს. რაც მთავარია, მიზნის მისაღწევად პირველი ნაბიჯები გადადგმულია — სფეროს დაფინანსების ზრდა დაწყებულია, რაც სამომავლოდ კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს.

# ვინ გაძარცვა ქუთაისში ტუალეტები

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

**,,ქუთაისში, ქალაქის ცენტრალურ ნაწილსა და ე.წ. წითელ ხიდთან მდებარე საპირფარეშოებში მძარცველებმა თანხის მიმღები აპარატები გატეხეს და თანხა წაიღეს.**

ქალაქის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ზაალ კუხიანიძის თქმით, აღნიშნული საპირფარეშოები ქალაქის მერიის ბალანსზე არ იმყოფება, წყალმომარაგების კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს, თუმცა საზოგადოებრივი ტუალეტების გაძარცვის ფაქტი კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს.

,,თანხის მიმღები აპარატების გაძარცვის გარდა, დაზიანებულია ინტერიერიც. ერთი საპირფარეშო მუშაობდა და გაძარცვის შემდეგ დალუქეს, ხოლო მეორე ტუალეტს გასახსნელად ვამზადებდით. მასალები გადავეცით სამართალდამცავებს. ცუდია, როდესაც ასეთი ფაქტები ხდება,“ — ამბობს ზაალ კუხიანიძე.“

ეს კოპირებული მასალაა ერთ-ერთი ნიუს პორტალიდან.

რა გითხრათ, როცა ქვეყანაში ტუალეტებს ლეწავენ ფულის გამო, ამის მიზეზი ბევრი რამე შეიძლება იყოს.

სადღესასწაულო დღეებში ტუალეტის ფულით გულს ვარდები ვინ აიყვავა, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ...

ქუთაისი მოსახლეობის მიხედვით თბილისს ჩამორჩება მხოლოდ და იქ გაჭირვებულთა რაოდენობაც, სავარაუდოდ, მხოლოდ თბილისისას უნდა ჩამორჩებოდეს. გაჭირვებულმა შეიძლება გატეხა ტუალეტი და წაიღო ის თანხა, რომელიც ქწ-ს ანუ ქუთაისის წყალმომარაგების კომპანიას ეკუთვნის. ახლა არ ვიცი და ცოტა ხნის წინ ქუთაისში წყალმომარაგება ისეთი გრაფიკით მუშაობდა, არათუ უნდა გაეტეხათ ის ტუალეტები, თავზეც უნდა ჩამოემხოთ ზოგიერთი ჩინოვნიკისათვის! ქუთაისს წყალი ძირითადად რიონიდან და ფარცხანაყანევიდან მიეწოდება. რიონის წყალს, ავი ენები ამბობენ, იმდენი ქვიშა მოჰყვება, სასმელად კი არა, დასაბანადაც არ ვარგა და ენაუალაგმავი ქუთათურები აცხადებდნენ, რიონიდან მოსული წყალი სახლში არ შეიშვება ისე, როგორც ევროპაში ნახმარი ქართველი ქალიო (რიონი ქუთაისის ახლოს დასახლებული პუნქტია, მდინარეზე არ ვამბობ).

ფარცხანაყანევის მოსახლეობა ცალკე ბუზღუნებს, ჩვენ იმდენს ვიხდით წყლის ფულს და გაგვიიაფეთ ცოტა, ,,ბორჯომი“ და ,,ზვარე“ არაა ეგაო. ქუთაისის ის უბნები თავს იწონებენ, რომელთაც ფარცხანაყანევის წყალი მისდით(გრაფიკით, მაგრამ მაინც). ფარცხანაყანევი რამდენი რამით ამაყობს, რომ იცოდეეეეეეეეეეთ!

—წყლით!

—მოსახლეობის რაოდენობით იმერეთში ყველაზე დიდი სოფელია!

—შალვა ნუცუბიძით!

—მემწვანილეობით!



ჩვენ ისევ პირველ სიტყვას დავუბრუნდეთ! ვინ გატეხავდა ქუთაისში ტუალეტებს? ერთი ვერსია უკვე ვთქვით — გაჭირვებული. მეორე ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება: სულაც დაგეგმილი პროვოკაცია! ამნისტიის მეოხებით გამოსულმა რიგითმა ,,დაბადებითგან“ არამზადამ ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის გააკეთა ეგებ? ან სულაც გამტეხავი არამზადა სულაც არ იყო ,,ვირის აბანოში ნაბანავები?“ მე თქვენ გეტყვით და ქუთაისში არ ხდებოდა ამდაგვარი რამეები? კარგად არ მახსოვს, რომელი დიდი ჩინოვნიკი იყო მაშინ ქუთაისს ჩაბრძანებული, უფრო პრეზიდენტი იქნებოდა, რადგან ჩემს უმცროს კოლეგას, ირაკლი ვაჩიბერაძეს, აქაოდა რეიზა მიძვრებოდი იქ (შეხვედრის ადგილას მოახერხა შესვლა), სადაც არ გელოდებოდნენო და მერე ცოტა წაუთაქეს კიდეც. ატყდა ამბავი — ოციოდე წლის ჟურნალისტს წამოცდენილ სიტყვებზე გამოედევნენ. მე და ელისო ჩაფიძის გარდა ვაჩიბერაძის დამცველი არ აღმოჩნდა იმ პოლიგონზე, ფეისბუქი რომ ჰქვია. ისე, ქუდბედიანი აღმოჩნდა ვაჩიბერაძე ამის შემდეგ — ერთმა კარგბიუჯეტიანმა ტელევიზიამ აიყვანა და კია შესანიშნავად რეგიონული მედიის ყოფილი წარმომადგენელი! საერთოდ, ქუთაისში ვაჩიბერაძის ინციდენტი რეალური ბატალიებით განისაზღვრა, ხოლო ნოდარ ჯოჯუას ვირტუალში ,,გაუჩალიჩეს.“ რაღაც ოხრობად ისევ ფეისბუქზე ,,ინ კუტაისი“ შეიქმნა. ამბობენ, რომ წმინდა პოლიტიკური ჯგუფი იყო და მედიისა და ,,ნაციონალების“ ოპონენტების დისკრედიტაციას ემსახურებოდაო. ამ ახალგაზრდას ის არ აპატიეს, რომ საჩხერეში იმერელი პოლიტელიტის ქეიფის დეტალები გამოაქვეყნა (თუ არ ვცდები, რესტორან ,,მევენახის სახლში“ ბიძინას შეურაცხმყოფელი შეძახილებით) და აუტეხეს ,,პერესტრელკა“ ჯოჯუას! გამოფინეს მისი ფოტო ვითომ ციტატით: ფული მომეცით და საქართველო რუსეთმა კი არა, ოსმალეთმაც დაიპყროსო. ეს ფოტო მერე ,,ნაციონალური მოძრაობის“ აგიტაცია-პროპაგანდით დაკავებულმა ჟურნალისტმა გაავრცელა და ატყდა წიოკი! უიმე, ასეთი გამყიდველი საქართველოს ისტორიას არ ახსოვსო. ჯოჯუა დაიბნა და სანაცვლოდ მე არ დავიფანტე! სწრაფად მოვიცვი უფლებადმცველის ვირტუალური მანტია და შევუვარდი დისკრედიტორებს ვოლზე! არადიპლომატიურად მოვახსენე, რომ ჟურნალისტური ეთიკა მათთვის უცხო ხილი იყო და ადამიანის ცილისწამებისთვის თუ კუბლაშვილადეიშვილის ხელისუფლება არ განსჯიდა და დასჯიდა, უზენაესის მაინც შეშინებოდათ. მოკლე ხანში ინფო 9-მ წაიყვანა თავის კორესპონდენტად ნოდარ ჯოჯუა. სამართალმა პური ჭამა ასე თუ ისე, მაგრამ აქვე დავამატებ, ეს ის ნოდარ ჯოჯუაა, ალისტრახო რომ ამოიცნო, როგორც ნაცმოძის ნომენკლატურული მუშაკი!

მოკლედ, ქუთაისში საქმის ,,კერვა“ იციან, მაგრამ რამდენ ხანს ძლებს ეს ,,ნაკერავი“, ეს უკვე ვთქვი ჟურნალისტების მაგალითზე.

ქუთაისის წყალმომარაგების სამსახურს, ნეტავ, ჭომის ,,ასახოვში“ რომ წყაროა, მისი კეთილმოწყობა ევალება? ალბათ არა! მაგრამ ქუთაისის ცენტრალურ ნაწილებში ტუალეტების დადგმა რატომ ივალდებულეს? პასუხი მარტივი გახლავთ—ფულს სუნი არ აქვს! ახლა სამართალდამცავებმა თავი უნდა იტეხონ გატეხილი ტუალეტების გამო...

ისე, ,,რამკიანი“ ქურდები ტუალეტის გატეხვას რომ არ იკადრებდნენ, საეჭვო არც არის. თან მათ ახლა ალიბი აქვთ: ქუთაისში ქურდები აღარ არიან!

# გაზრდის თუ არა შობადობას უფასო მშობიარობა?

მერი ნამორაძე

**წყვილებს, რომლებიც შვილის ყოლის გადავადებას სამშობიარო ხარჯების გამო აპირებენ, ამ მიზეზით გადავადება აღარ დასჭირდებათ, რადგან ივლისიდან ქვეყანაში სამშობიარო ხარჯებს სახელმწიფო დაფარავს. მავანმა შეიძლება არც დაიჯეროს, რომ ვიღაც შვილის ყოლისგან თავს 600-800 ლარის არქონის გამო იკავებდა. საუბარია მეორე და მომდევნო შვილზე, თორემ პირველი შვილის ყოლის გადავადება საქართველოში, საბედნიეროდ, აზრად ჯერ არავის მოსვლია. ოჯახის ტრადიცია ჯერაც ფუნქციონირებს ჩვენში და აბა ოჯახი პირველის გარეშე რა ოჯახია? ჰოდა, ოჯახი ერთის ვალს დაიდებს, ლოგიკა პირველი შვილი წყვილის შეუღლებიდან პირველივე წელს მოელოდება ქვეყანას.**

როგორც აღვნიშნეთ, მავანმა შეიძლება არ დაიჯეროს, რომ სამშობიარო ხარჯის გამო ხდება ბავშვის გაჩენის გადავადება, რადგან უქონელნი სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილი სამედიცინო დაზღვევით იღებენ დახმარებას, მათ შორის სამშობიაროებში დახმარებას. მაგრამ რამდენი ოჯახია ისეთი, რომელსაც არც სოციალურად დაუცველის ქულები აქვს, არც შემოსავლიანი სამსახური და თვიდან თვემდე ძლივს გააქვს თავი? ასეთი ოჯახი ძალიან ბევრია და სამშობიარო ხარჯის დაფარვაც მათთვის გვარიანი შეღავათი იქნება.



მავანი, რომელიც იმაზე წუხს, ხალხის ჯიბიდან, ანუ ერთიანი სადაზღვევო ფონდიდან, რომელიც ორიოდე თვეში ამოქმედდება, რატომ უნდა დაფინანსდეს ხელმოკლეებთან ერთად მდიდარი ადამიანების მშობიარობა, შეგახსენებთ, რომ მდიდრები ,,ღარიბულ“ სამშობიარო სახლებში არც კადრულობენ მშობიარობას და კერძო სამშობიარო სახლებს აკითხავენ. სამედიცინო მომსახურების ხარისხი კი ყველგან თანაბარია (ყოველ შემთხვევაში ამას ჯანდაცვის სამინისტრო უნდა აკონტროლებდეს) ფუფუნების და კომფორტის ხარისხის გარდა.

თუ დემოგრაფებს დავუჯერებთ, შვილის ყოლის გადავადებათა მიზეზებს შორის საქართველოში გასული საუკუნის 80-იან წლებში ჯანმრთელობის მდგომარეობა იდგა პირველ ადგილზე. მას მოჰყვებოდა ფინანსური პრობლემები. 21-ე საუკუნემ კი მიზეზები პირიქით გადაანაცვლა და შვილის ყოლის გადავადების მიზეზად პირველ ადგილზე სწორედ ფინანსური პრობლემები სახელდება, შემდეგ კი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

მოახდენს თუ არა გავლენას უფასო მშობიარობა შობადობის მატებაზე ქვეყანაში? დემოგრაფებს ამასთან დაკავშირებით მაინცდამაინც დამაიმედებელი პროგნოზები არ გააჩნიათ. როგორც დემოგრაფმა გიორგი წულაძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, თანამედროვე დემოგრაფიული განვითარების ტენდენციიდან გამომდინარე, მშობიარობის ხელმისაწვდომობა გადამწყვეტ გავლენას არ ახდენს შობადობის მატება-არმატებაზე. თანამედროვე ცხოვრებამ ქალბატონები ოჯახიდან გარეთ გამოიყვანა, რის გამოც მოთხოვნა მრავალ შვილზე შემცირდა. ეს მსოფლიოს ტენდენციაა, რომელსაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ ასცდა. დემოგრაფთა თქმით, საქართველოში დემოგრაფიული განვითარების ტენდენციისგან გადახვევა მხოლოდ საქართველოს პატრიარქის მოწოდებას მოჰყვა მესამე შვილის მის მიერ მონათვლის შესახებ, რამაც გაზარდა ბოლო წლებში შობადობის რაოდენობა ქვეყანაში. თუმცა, დემოგრაფები იქვე დასძენენ, რომ თუ სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არ მოხდა და ოჯახების გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამები არ ამოქმედდა, პატრიარქის მოწოდება დროებითი ეფექტის მატარებელი იქნება შობადობის ზრდასთან დაკავშირებით. თუ მშობიარობის უფასოდ შეთავაზებას სოციალური პოლიტიკის გატარებისკენ მიმართულ პირველ ნაბიჯად მივიჩნევთ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამას სხვა ნაბიჯებიც მოჰყვება.

თამარ ნინიძე

# „ადეიშვილს ბელგიისთვის პოლიტიკური თავშესაფარი არ უთხოვია“

## ინტერვიუ პოლიტიკურ მიმომხილველ გელა კვაჭანტირაძესთან

***— საერთო შერიგების თემა მიხეილ სააკაშვილმა მოლოცვის დროს გაახმოვანა და ივანიშვილმა გამოაცხადა თანამდებობის პირების ამნისტიის შესახებ. რას ნიშნავს ამ ორი ლიდერის ეს ინიციატივები?***

— კოჰაბიტაცია ვერ შედგა და ეს იქცა პოლიტიკური თამაშის საგნად, ამაში დაგვარწმუნა პრეზიდენტის ხუთპუნქტიანმა შეთავაზებამ, ეს არის არარელაური, მთავარი არ მომხდარა ქვეყანაში, რომ ნაცმოძრაობამ ჯერ ვერ შეაფასა პროცესი და არ გაემიჯნა იმ ხალხს, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი. ამ ფონზე ეს ხუთპუნქტიანი შეთავაზება ბლეფია.

***— ცალკე რომ განვიხილოთ, შეწყდეს აგრესიული რიტორიკა და დაპატიმრებები და თავისუფალი მედიის დევნაო, ასეთი იყო ეს ინიციატივა. ამაზე რას იტყვით?***

— ეს არის პრეზიდენტის ძველი რიტორიკა, როცა სააკაშვილი ამ ინიციატივას აყენებს, ამ დროს გამოდის რიგ შეხვედრებზე და ახალ ხელისუფლებას უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს. თუ ეს შეთავაზება რეალური და გულწრფელია, სად არის ლოგიკა? ეს არის უფრო პიარი და მეტი არაფერი.

***— მშვიდობის მტრედად უნდა მოაჩვენოს საზოგადოებას თავი?***

— რასაკვირველია, დასავლეთში უნდა თავი მოაჩვენოს კოჰაბიტაციის მომხრედ იმ ადამიანებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ გაურკვევიათ, ვინ არის სააკაშვილი. ერთადერთი გზა თანამშრომლობისა არის ის, რომ ნაცმოძრაობამ აღიაროს თავისი შეცდომები, გაემიჯნოს სისხლის სამართლის დამნაშავეებს და თუკი არსებობს რეალური ძალა ამ პარტიაში, რომელსაც დანაშაული არა აქვს ჩადენილი, თუ უნდათ შექმნან ერთობა და გააცნონ საზოგადოებას თავისი მიზნები. დღესავით ნათელია, რომ ახალი ერთობის ლიდერი სააკაშვილი ვერ გახდება. ძველი მეთოდით თუ გააგრძელებენ ბრძოლას, ეს მოიტანს იმას, რომ ისინი გაკოტრდებიან.

ივანიშვილის ინიციატივას რაც შეეხება, ის გასაგებია, ახალი ხელისუფლების ერთადერთი მიზანი ის კი არ არის, რომ ვინმე დაიჭიროს და დასაჯოს, არამედ დაპირებები შეასრულოს, ქვეყანა განავითაროს და ხალხს მისცეს ამოსუნთქვის საშუალება ყველა დარგში. ივანიშვილი განწყობილია იმისათვის, რომ ნაცმოძრაობა გაემიჯნოს კრიმინალებს და სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღებაში არ მონაწილეობდნენ, მათ მიმართ გატარდეს ეს ამნისტია.

***— გარდა ამისა შესაძლებელია ივანიშვილმა დაინახა, რომ ახალი ხელისუფლების მომხრეებსაც კი მობეზრდათ ეს დაუსრულებელი ტელედაჭერები და რეალურ ცვლილებებს ითხოვენ ხელისუფლებისგან?***

— სამი თვე გავიდა, ეს ბევრი არ არის ახალი ხელისუფლებისთვის, მაგრამ საზოგადოებას აქვს მოლოდინი, რომ დაჭერების გარდა დაიწყოს მოკლე დროში ცვლილებების განხორციელება. პირველ რიგში უნდა მოგვარდეს პოლიტიკური პრობლემები, კარგად ვიცით, რომ ეკონომიკა ვერ განვითარდება თუ პოლიტიკური პროცესები არ დალაგდება. ეკონომიკა რომ განვითარდეს, ამისთვის თავისუფალი კონკურენტული გარემო უნდა შეიქმნას. თუ პოლიტიკური სპექტრი არ დაიწმინდა და არ დალაგდა, პოლიტიკური კონკურენტული გარემოც ვერ შეიქმნა, მაშინ ქვეყანა ვერ განვითარდება. მთელი ნაცმოძრაობა რომ დაიჭირონ, პარლამენტში დაგვრჩება ერთპარტიული სიტუაცია და ეს გამორიცხავს კონკურენციას, კოალიციის დეგრადაციას მივიღებთ ისევე, როგორც ეს იყო ჩვენს უახლოეს წარსულში. ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ გავანადგუროთ რომელიმე პოლიტიკური ძალა, არამედ ყველა პოლიტიკურმა ძალამ უნდა იცოდეს, რომ არანაირი დანაშაული არ შერჩება. უნდა შექმნას მეორე პოლიტიკური პოლუსი ნაცმოძრაობამ და ეცადოს, კონკურენცია გაუწიოს დღევანდელ ხელისუფლებას. კოალიციაში არის ჯგუფები, რომელთაც სხვადასხვა ინტერესები აქვთ და უკვე გაიელვა ამ ინტერესებმა. კარგი იქნება თუ ბატონი ივანიშვილი ქართულ ოცნებას, როგორც ძლიერ პარტიას ჩამოაყალიბებს, რომელსაც ექნება გრძელვადიანი მიზნები. ეს არ უნდა დარჩეს კოალიციად, რომელიც ადრე თუ გვიან დაიშლება. კარგი იქნება ასევე, თუ ნაცმოძრაობა მონახავს თავის თავში ძალას და გაემიჯნება დამნაშავეებს, მისი განადგურება წარმოუდგენელია, რადგან მას ახლა გააჩნია ადამიანური და ფინანსური რესურსი. თუ მისი სახით მეორე პროდასავლური პოლიტიკური ცენტრი ჩამოყალიბდება, ეს იქნება ქვეყნისთვის კარგი.



***— სააკაშვილმა ამ ხუთი პუნქტიდან მესამე პირობა დააყენა, გავერთიანდეთ დასავლური კურსის შესანარჩუნებლადო, თუმცა კოალიციის კურსი ცნობილია, რომ ის არ აპირებს გადახედოს დასავლურ კურსს. სააკაშვილის ეს ინიციატივაც პიარს ემსახურება?***

— ძნელია ამ შეთავაზებაზე კომენტარი იმიტომ, რომ თავად პრეზიდენტია არასერიოზული პიროვნება. თუ დასავლური კურსის მომხრეა ნაცმოძრაობა, კარგია ეს, მაგრამ კარგი იქნებოდა, ეს მას საქმით დაემტკიცებინა. ეს განცხადება უფრო მიმართულია დასავლეთზე, ვიდრე ადგილობრივ საზოგადოებაზე. კოალიციამ გააკეთა მკაფიო განცხადება, რომ კურსი არ იცვლება და ევროპული ცივილიზაციისკენ აქვს აღებული გეზი. ასეთი საკითხები დიდ პოლიტიკაში მხოლოდ დეკლარაციებით არ წყდება. პირველი იმპულსები, რაც წამოვიდა ახალი ხელისუფლებისგან დასავლეთისაკენ, შესანიშნავია, საკადრო საკითხებითაც განმტკიცდა ეს განცხადებები. გარკვეული დრო უნდა გავიდეს, რომ რეალური ურთიერთობებითა და ხელშეკრულებებით, ქმედებებით დარწმუნდეს საბოლოოდ დასავლეთი, რომ ჩვენი კურსი ურყევია. ნებისმიერი ახალი ხელისუფლების მიმართ იარსებებს კითხვები, ეს ბუნებრივია. საქართველოში რიგით ადამიანებს რომ დაუსვან კითხვა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რომ იყოს შესაძლებელი კურსის სანაცვლოდ, რას აირჩევდითო, ადამიანები დაფიქრდებიან და გაუჭირდებათ პასუხის გაცემა. ჩვენი თვითმიზანი კი არ არის რომელიმე ბლოკში ყოფნა, ეს სტრუქტურები ჩვენი უსაფრთხოების გარანტორები არიან და ჩვენი ქვეყანა არის დასავლური კულტურის ნაწილი. სპეკულირების საგნად არ უნდა იქცეს დასავლური კურსი.

***— საზოგადოების და პოლიტიკოსების ნაწილი აქციებს მართავს სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით და პრეზიდენტს ვადაც დაუწესეს - 20 იანვრამდე უნდ გადადგეს. ივანიშვილმა გასული წლის ბოლო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სააკაშვილმა უნდა ამოწუროს თავისი ვადა ოქტომბრამდე. ხომ არ არის ახალ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის გამყოფი ხაზი სააკაშვილის ყოფნა-არყოფნა პოსტზე?***

— მნიშვნელოვანი საკითხია. ძნელია ოქტომბრამდე ვითმინოთ სააკაშვილის გამოხტომები, მისი ყალბი შეთავაზებები ხელისუფლებისადმი და რეალურად კი ხელის შეშლა, ეს იწვევს საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას. მეორე მხრივ, თუ დღესვე მოვიშორებთ სააკაშვილს, ადვილი არც ეს არის, დასავლეთისთვის ძნელი გასაგები იქნება მშვიდობიანი ცვლილების შემდეგ რადიკალური ქმედებები და ისევ ერთპარტიულ სისტემაში დაბრუნება. ჩემი აზრით, ხელისუფლებამ ბრძნული გამოსავალი იპოვა. ეს არის საკონსტიტუციო ცვლილებები. თებერვალში მისი განხილვა მოხდება. სააკაშვილი ფორმალურად არ გადავაყენოთ, მაგრამ მოხდეს მისი უფლებების შეზღუდვა და მისი პოსტიდან დარჩეს მხოლოდ აზრა „პრეზიდენტი“. ის ბერკეტები უნდა მოვაშოროთ, რითიც მას შეუძლია კრიზისის გამოწვევა. იმედია ნაცმოძრაობაშიც მოიძებნება რადემნიმე ადამიანი, რომ შედგეს საკონსტიტუციო უმრავლესობა.

***— არის ამაზე საუბარი, ამნისტიის კანონთან დაკავშირებით, არის საუბარი იმაზე, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა უკვე არის და სააკაშვილს ამნისტიის კანონის დაბლოკვის შესაძლებლობა არ ექნება.***

— კი ბატონო, გაკეთდა ასეთი განცხადება, კენჭისყრის დროს გამოჩნდება, ეს რამდენად რეალურია. წინასწარ გვარებს ვერ დაასახელებენ, რომ ნაცმოძრაობამ მაჟორიტარებზე ზეწოლა არ განახორციელოს. პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვა კარგია ნაცმოძრაობისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ეს არის მშვიდობიანი გზა სააკაშვილის გვერდზე გაწევის. ეს ასი კაცი, ეტყობა, მართლაც ქმნის საკონსტიტუციო უმრავლესობას. სააკაშვილი ორცეცხლშუაა ამნისტიის კანონის გამო. თუ ხელს მოაწერს ამ კანონს, ნიშნავს, რომ აღიარებს პოლიტპატიმრების არსებობას ქვეყანაში მისი მმართველობის დროს, ვეტო გადალახულია და თუ არ მოაწერს ხელს, პარლამენტის თავმჯდომარეს აქვს უფლება, ხელი მოაწეროს ამ კანონის ძალაში შესვლას.

***— ამ შემთხვევაში უსუფაშვილი იღებს პასუხისმგებლობას ამნისტიის კანონიდან გამომდინარე შედეგებზე?***

— რა თქმა უნდა, მაგრამ მარტო ის არ იღებს ამ პასუხისმგებლობას, არამედ მთელი გუნდის პასუხისმგებლობაა. იქნება აღიარებული, რომ საქართველოში არიან პოლიტპატიმრები. ეს იქნება დასტური იმისა, რომ წინა ხელისუფლება იყო დანაშაულებრივი.

***— ბადრი ბიწაძეს შეეხება ამნისტია და პოლიტდევნილად იქნება აღიარებული, ის აპირებს საქართველოში დაბრუნებას. გარდა ამისა, გია უჩავამ ჩვენება შეცვალა და თქვა, რომ მას წინა ჩვენება ზეწოლით მიაცემინეს. ასეთი საქმეები ბევრია, ბიწაძეს ხულიგნობის მუხლი აქვს შეფარდებული.***

— ამ სიაში არის ბადრი ბიწაძე, მე როგორც ვიცი, თავად ბიწაძეს მოლოტოვის კოქტეილები არ უსვრია. საუბარია იმაზე, რომ წინა ხელისუფლებამ შეუთითხნა მას ბრალდებები. რა პოლიტიკური შეხედულებებიც უნდა ჰქონდეს ბადრი ბიწაძეს, ამისთვის არ შეიძლება ადამიანი დაიჭირო. ქალბატონი ნინო ცნობილია, როგორც პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი, ის რუსეთშიც იყო ჩასული, მე არ ვეთანხმები მის პოლიტიკურ შეხედულებებს, მაგრამ სხვა შეხედულებების ადამიანს დევნა გამოუცხადო, ამას მეც არ ვეთანხმები. მე ვერ ვხედავ მიზეზს, რომ ბატონი ბადრის მიმართ სასამართლოს რაიმე პრეტენზია ჰქონდეს.

***— ბურჯანაძე არ აცხადებს, რომ ის რუსული ორიენტაციისაა და პუტინთან ჩასვლა, მისი განცხადებით, გამოწვეული იყო მხოლოდ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ის მიიჩნევს, რომ არის დასავლური ღირებულებების მატარებელი პოლიტიკოსი.***

— მე არ ვამბობ, რომ ბურჯანაძე ან კრემლის აგენტია, ან მისი ინტერესების გამტარებელი. ძველი აგენტები, მართლაც ვინც იყო, ისინი ღუპავდნენ ქვეყანას, მაგრამ რუსეთთან და დასავლეთთან კარგი ურთიერთობების მომხრე პოლიტიკოსების საქმიანობას მათ ვერავინ აუკრძალავს. მე არ მჯერა რუსეთთან მეგობრობის. დღეს საზოგადობაში არ აღიქმება ბურჯანაძის პარტია, როგორც პრორუსული ძალა. პუტინსაც შეხვდა ბურჯანაძე და ამერიკის პრეზიდენტსაც. ამ პარტიამ თავად უნდა გამოკვეთოს თავისი ორიენტაცია.

***— ვრცელდება ვერსია, რომ ზურაბ ადეიშვილმა მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი ბელგიაში, თუ ნაცები მას პოლიტდევნილად გამოაცხადებენ, იქნება ეს რეალურად ასე?***

— მე როგორც ვიცი, ბელგიაში შესაბამის ინსტანციებს მიმართეს და ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არ დაადასტურა ის, რომ ადეიშვილს არ მოუმართავს ამ მოთხოვნით. ორ ოქტომბერს ადეიშვილი გაიქცა საქართველოდან იმის ნაცვლად, რომ სამინისტრო გადაებარებინა ახალი იუსტიციის მინისტრისთვის. ორთვიანი პატიმრობა აქვს მას შეფარდებული, არა მგონია, რაიმე ტყუილად დაებრალებინათ. ბევრი სხვა საქმეები ამოიწევა. ის დაემალა მართლმსაჯულებას. თუ ის მართალია, ჩამოვიდეს და გასცდეს პასუხი ყველა ეჭვს.

# გია ნოდია პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროგრამის გამჭვირვალედ განხორციელებას გვპირდება



საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი იანვრის თვეს ტექნიკური სამუშაოებისათვის გამოიყენებს, ხოლო უკვე თებერვლიდან სავარაუდოდ, კონკრეტული პროექტების დაფინანსების საკითხის განხილვას დაიწყებს. ამის შესახებ გუშინ ორგანიზაციის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე მისმა თავმჯდომარემ გია ნოდიამ განაცხადა.

ნოდიას თქმით, ორგანიზაცია პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროგრამის ფარგლებში მაქსიმალურად გამჭვირვალედ და ტრანსპარენტულად იმუშავებს. სწორედ ეს იქნება პასუხი საზოგადოების ერთი ჯგუფის მიერ გამოთქმულ ეჭვებზე მის შესაძლო პოლიტიკურ მიკერძოებულობასთან დაკავშირებით. ნოდიას განცხადებით, მისთვის უცნობია, თუ რატომ გამოაცხადა ასეთი ტიპის კონკურსი პრეზიდენტმა მაინც და მაინც ახლა და იგი არ აპირებს, რომ პოლიტიკურ თამაშებში შევიდეს.

„სამოქალაქო სექტორისა და მედიის ხელშეწყობის ასეთი პროგრამები სხვა ქვეყნებში ჩვეულებრივი ამბავია და მასში არაფერი გაუგონარი არ არის. მისასალმებელი ფაქტია და ვისურვებდი, რომ ასეთი პროგრამები მომდევნო პრეზიდენტებსაც განეხორციელებინათ“, – განაცხადა ნოდიამ და დასძინა, რომ კითხვა, თუ რატომ აირჩია პრეზიდენტმა მაინცდამაინც ეს ორგანიზაცია, არა მას, არამედ იმ საკონკურსო საბჭოს უნდა დაუსვან, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო.

განათლების ექს-მინისტრის განცხადებით, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი ამ სფეროში მოღვაწე ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი არასამთავრობო ორგანიზაციაა საქართველოში, რომელსაც მუშაობის 20-წლიანი სტაჟი აქვს. მართალია, მას 800 ათასი ლარის ბიუჯეტის მქონე პროგრამა აქამდე არ განუხორციელებია, თუმცა ამასაც მოახერხებს, რადგან მის ცალკეულ წევრებს შესაბამისი გამოცდილება გააჩნიათ.

ნოდიას თქმით, იანვრის თვეში პროექტთან მიმართებაში ჩამოყალიბდება გამგეობა, რომლის შემადაგენლობაშიც პროფესიონალი და პატიოსანი კადრები შევლენ. გამგეობა განიხილავს კონკრეტული ადამიანებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ პროექტებს და იმსჯელებს მათი დაფინასების მიზანშეწონილობაზე.

„თუ ვინმეს ჰგონია, რომ მე გადავწყვეტ ვინ დაფინანსდება და ვინ არა, ცდება. საქმის ჩასაწყობად მე ნურავინ დამირეკავს, გადაწყვეტილებას მიიღებს გამგეობა“, – განაცხადა მან.

პროგრამის განხორციელების ფარგლებში ორგანიზაციის პრიორიტეტი და ფოკუსი მიმართული იქნება იქითკენ, რომ რაც შეიძლება მეტი ახალი ადამიანი თუ ორგანიზაცია ჩაერთოს სამოქალაქო საქმიანობაში. პრიორიტეტი მიენიჭება მედიის განვითარების ხელშეწყობის, უმცირესობების და თვითმართველობების გააქტიურების საკითხებისადმი მიმართულ პროექტებს. ივარაუდება, რომ ორიენტირი ახალგაზრდობის საკითხებისაკენ იქნება.

„თუმცა, რა თქმა უნდა, ასაკობრივ დისკრიმინაციას ადგილი არ ექნება“, – აღნიშნა ნოდიამ.

რაც შეეხება მედიის თემას, ნოდია ამბობს, რომ სავარაუდოდ , უფრო მეტად პრიორიტეტული იქნება ინტერნეტ-მედიის განვითარებისადმი მიმართული პროექტები, რადგან ეს სწრაფად ზრდადი, დემოკრატიული მედიაა და მცირე თანხების მობილიზებით აქ უფრო მეტია წარმატების მიღწევის შანსი. სავარაუდოდ, დაფინანსდება ვადებში 6 თვიდან – წლამდე პროექტები. ნოდიას განცხადებით, ზემოხსენებული 800 ათასი ლარიდან დაფინანსდება ბევრი შედარებით მცირე ბიუჯეტიანი და არა ცოტა, მაგრამ დიდი ბიუჯეტის მქონე პროექტი. ნოდიას განცხადებით, პროექტები უნდა იყოს საინტერესო და ინოვაციური. მისივე თქმით, მუშაობის პროცესში თუ საჭირო გახდება ორგანიზაცია უცხოელ ექსპერტებსაც მოიწვევს.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა გამოაცხადა კონკურსი: „სამოქალაქო სექტორისა და თავისუფალი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“. კონკურსში ერთ-ერთ გამარჯვებულად გამოცხადდა მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. მას 800 ათასი ლარი მიენიჭა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების პროგრამებისთვის.

მედიანიუსი

## თეა წულუკიანი: „ოქრუაშვილი ჩემს თვალში ფრთიანი ანგელოზი არ არის“



იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილის ბრალეულობები წინა ხელისუფლების მიერ იყო შეთითხნილი, რის გამოც მთავარმა პროკურატურამ მას ბრალის ნაწილი მოუხსნა.

„არის მთელი რიგი ეპიზოდებისა, სადაც ირაკლი ოქრუაშვილის ბრალი, წინა ხელისუფლების მიერ იყო შეთითხნილი, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩემს თვალში ოქრუაშვილი ფრთიანი ანგელოზია. მაგრამ უფრთო ანგელოზსაც, როდესაც მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს აღძრავენ, უტყუარი მტკიცებულებები სჭირდება. ეს მტკიცებულებები ოქრუაშვილის საქმეში არ არის, ამიტომ პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება და მას ბრალის ნაწილი მოუხსნა“– განაცხადა წულუკიანმა.

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის სასამართლო პროცესი ხვალ განახლდება.

ნიუსპრესი

# მცხეთაში სოფლის გამგებლები გაათავისუფლეს

მცხეთის მუნიციპალიტეტში 23 სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული სამსახურიდან გაათავისუფლეს. სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადებები მცხეთის გამგეობის თანამშრომლებსაც დააწერინეს.

სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომლების თქმით, მათ განაცხადების დაწერა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გივი გიუტაშვილმა მოსთხოვა.

გივი გიუტაშვილი, რომელიც მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლად საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაინიშნა, განმარტავს, რომ სოფლებში მოქალაქეები გამოკითხეს და ახალი ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები ხალხის აზრის გათვალისწინებით დაინიშნენ.



,,რწმუნებულებმა სამსახური პირადი განცხადებების საფუძველზე დატოვეს. მათ ადგილებზე ახლები დავნიშნეთ. სოფლებში ხალხს გავესაუბრეთ და ვინც დაასახელეს, სოფლის გამგებლებად ისინი დავნიშნეთ. რომელი პარტიის წარმომადგენლები არიან, არ ვიცი, ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარია რომ თავიანთი მოვალეობა კარგად შეასრულონ. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებს, თანამდებობა ჩემმა ერთმა მოადგილემ და ორი სამსახურის უფროსმა დატოვა. ყველა მათგანი სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე წავიდა და მათზე არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. მათ ადგილებზეც ახლები მივიღეთ. საერთოდ, მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში შტატები ძალიან გაბერილია. ვხედავ, რომ ბევრი უსაქმურია და არაფერს აკეთებს, ამიტომ გადაწყვეტილება მივიღე, რომ იანვრიდან ატესტაცია ჩავატარო“, – აღნიშნა გივი გიუტაშვილმა.

**მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

# სოციალურად დაუცველებს საცხოვრებლიდან ასახლებენ

სოციალურად დაუცველები სამედიცინო უნივერსიტეტის ყოფილი საერთო საცხოვრებლიდან გამოსახლებას აპროტესტებენ.

მოქალაქეები ალტერნატიული ფართის გამოყოფას ითხოვენ და აცხადებენ, რომ შენობას მხოლოდ ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილების შემთხვევაში დატოვებენ.

,,ვცხოვრობთ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყოფილ საერთო საცხოვრებელში. ვართ სოციალურად დაუცველები. გაასახლეს დევნილები, მაგრამ ჩვენ ხელი არავინ გვახლო, რადგან არ იცოდნენ, სად წავეყვანეთ. ახლა კი დაიწყო შენობის დემონტაჟი ისე, რომ არავის არ გავუფრთხილებივართ“, – განაცხადა სოციალურად დაუცველმა ეკა თვაურმა.

ყაზბეგის გამზირზე მდებარე შენობა ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის კუთვნილებაა. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, მათ აღნიშნული შენობა აუქციონის გზით 2011 წელს შეიძინეს და სოციალურად დაუცველი ოჯახები იქ უკანონოდ ცხოვრობენ.

სოციალურად დაუცველი ექვსი ოჯახი საერთო საცხოვრებელში 1998 წლიდან ცხოვრობს.

**მედიანიუსი**

# უსუფაშვილმა პარლამენტში საახალწლო ნაძვის ხის ზეიმზე ბავშვებს უმასპინძლა

ქუთაისში, პარლამენტის შენობაში, გუშინ გამართულ საახალწლო ნაძვის ხის ზეიმს, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის სახელით გაიმართა, დაახლოებით 300-მდე ბავშვი დაესწრო.

ზეიმზე მოწვეული იყვნენ მზრუნველობამოკლებული, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და დევნილი ბავშვები.

პატარა სტუმრებისთვის საახალწლო წარმოდგენა ქუთაისის ნიღბების თეატრის მსახიობებმა გამართეს, ზეიმის დასასრულს კი, ბავშვებს საჩუქრები გადაეცათ.



პატარებს შობა-ახალი წელი, პირადად პარლამენტის თავმჯდომარემ მიულოცა, რომელიც საახალწლო ზეიმს შვილებთან ერთად დაესწრო.

,,პარლამენტში მუშაობენ დეიდები და ბიძიები, რომლებიც ცდილობენ, რომ თქვენი ცხოვრება იყოს ლამაზი, უფრო მშვენიერი, უფრო ბედნიერი და ყოველ ახალ წელს შეხვდეთ უფრო გახარებული. გპირდებით, რომ ამ წელს ძალიან, ძალიან ბევრი რამით გაგახარებთ“ – მიმართა დავით უსუფაშვილმა პატარებს.

**ნიუსპრესი**

# ნოდარ ნათაძე: „ივანიშვილის გუნდი საგარეო პოლიტიკურ შეცდომას უშვებს“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე ნოდარ ნათაძესთან



***– ბატონო ნოდარ, სააკაშვილს პრეზიდენტობის 5-წლიანი კონსტიტუციური ვადა ამოეწურა, მაგრამ მაინც არ თმობს სკამს და კვლავაც აცხადებს, რომ ის ოქტომბრამდე რჩება. მისმა ჯგუფმა ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყო, თითქოს კანონიერად რჩება თანამდებობაზე. სინამდვილეში კონსტიტუციაში გარკვევით წერია, რომ პრეზიდენტი 5 წლის ვადით აირჩევა. როგორია თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით?***

– ცხადზე ცხადია, რომ აქ კანონისთვის არავითარი პრობლემა არ არსებობს. კანონი ამბობს, რომ პრეზიდენტი ირჩევა 5 წლით. გავიდა 5 წელი და უნდა წავიდეს. ე.ი. არანაირი კანონიერი არათუ საფუძველი, არამედ საბაბიც კი ამ თემაზე ლაპარაკს არ აქვს. ეს არის წმინდა წყლის თაღლითობა და მოსახლეობის დაბრმავება.

***– პოლიტიკური თაღლითობა?***

– რა თქმა უნდა, პოლიტიკური და კრიმინალური თაღლითობაა, მაგრამ ხელმოწერების შეგროვება იმიტომ დაიწყეს, არის დიდი მოძრაობა ხელმოწერების შეგროვებისა სააკაშვილის დროზე გასაშვებად. მათ ეს უსუსური ტყუილი ხელმოწერების შეგროვებას დაუპირისპირეს. დარწმუნებული ვარ, აქ იურიდიული მხარე არავის აინტერესებს, მაგრამ არის სხვა მხარეც. ისინი, ვინც მოვიდნენ (ივანიშვილის გუნდი), საგარეო პოლიტიკურ შეცდომას უშვებენ. ამიტომ, ბუნებრივია, დემოკრატიული მსოფლიო ამათ ეჭვის თვალით უყურებს, ანუ არ ენდობა იმაში, რასაც ესენი ამბობენ დასავლური სოლიდარობის შესახებ.

***– ეს რანაირადაა დაკავშირებული იმ პირის (სააკაშვილის) პრეზიდენტად დარჩენასთან, რომელსაც პრეზიდენტად ყოფნის კონსტიტუციური ვადა – 5 წელი – ამოეწურა? რა არის გაუგებარი? სააკაშვილი 5 წლის ვადით იყო არჩეული, 5 წელი გავიდა და უნდა წავიდეს. აქ საუბარია მის ადამიანურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე, რომ მას უკანონოდ ვეღარ უნდა შეუნარჩუნდეს პრეზიდენტის სტატუსი. სააკაშვილი გრძნობს რაიმე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას საერთოდ?***

– რაზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, აქ იურიდიული თვალსაზრისით არანაირი პრობლემა არ არის. სააკაშვილის მცდელობა, ანტიკონსტიტუციური და კანონსაწინააღმდეგოა ყველა მხრივ. სააკაშვილი არანაირ პასუხისმგებლობას არავის წინაშე არ გრძნობს. მას არანაირი პასუხისმგებლობა არავის წინაშე არ აქვს, გარდა რუსისა. ეს არის თანამდებობაზე ჩაბღაუჭება. ამის მაგალითი ბევრი ვიცი. თანამდებობის პირებისთვის დამახასიათებელია თანამდებობებზე ჩაბღაუჭება. სააკაშვილიც ებღაუჭება პრეზიდენტის სკამს. მან იცის, რომ დიდი ალბათობაა იმისა, როგორც კი წავა, სისხლის სამართალში მისცემენ, რადგან ამის საფუძველი საკმარისზე მეტია. ისმება კითხვა: ისე რამ დაუბნელა ჭკუა სააკაშვილს, რომ იმედი აქვს, რაღაცას მიაღწევს? ერთადერთი, უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთი ბოლომდე არ ენდობა საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკაში, მიუხედავად განცხადებებისა, რომ დასავლური ორიენტაცია აქვს, დემოკრატია გვინდა და ა.შ. დასავლეთი სავსებით პრაგმატულადაა დაინტერესებული, რომ ახალ გუნდს ჰყავდეს თავისი საპირწონე, დამბალანსებელი ძალა საქართველოში.

***– თქვენ ამბობთ, რომ სააკაშვილს ახლა პრეზიდენტად უკანონოდ დარჩენაში ხელს უწყობს დასავლეთი?***

– დიახ. ეს ცხადია, შეუიარაღებელი თვალით ჩანს. აქ ტრაგედია ისაა, რომ საქართველოში დასავლეთი ვერ ხედავს ცოტა მაინც ძლიერ ძალას, რომელიც ამათ საპირწონედ გამოდგებოდა. საქართველოში ყველა სხვა ძალა განადგურებულია. ეს ძალა გაანადგურა სამოქალაქო ომმა. ჩვენ მაშინდელი მორალური ტრავმა მოგვყვება. იმ საშინელი ტრავმის შემდეგ ვართ ხელაწეულები და მიწაზე დაყრილები. საქართველოში ვინ გაახარებდა სააკაშვილს, ვინ მიასუნინებდა მათ პარლამენტში და ვინ მიუშვებდა ხელისუფლების საჭესთან.

***– ჰო, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილმა შეძლო მოსულიყო ხელისუფლების სათავეში და ახლა წასვლა არ უნდა. თვითონ ამ პიროვნების ხასიათიდან გამომდინარე, თუ საშუალებას მისცემ, არც არასოდეს მოინდომებს წასვლას ბრეჟნევივით. თქვენ სააკაშვილი წარმოგიდგენიათ, იჯდეს და სამეცნიერო ნაშრომს კითხულობდეს და იაზრებდეს?***

– მე მახსოვს, ჩვენ ერთად ვიყავით კოპენჰაგენში. იქ იყო კონფერენცია საქართველოში მიმდინარე კონფლიქტებზე.

***– სააკაშვილთან ერთად?***

– დიახ, მე, სააკაშვილი და გელა ჩორგოლაშვილი ვიყავით. შეხვედრა გელა ჩორგოლაშვილის მოწყობილი იყო. გელა ჩორგოლაშვილი და სააკაშვილი ერთ პარტიაში იყვნენ.

***– ეს როდის იყო?***

– ეს იყო 1992 წელს. როგორც ჩანს, სააკაშვილის ორგანიზებით მოხდა ჩვენი მოხვედრა იქ, რადგან იმ კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი მისი ხელმძღვანელი გახლდათ. მგონი, სააკაშვილი ასპირანტი იყო. მაშინ სააკაშვილმა მომცა თავისი სადიპლომო თუ რაღაც ნაშრომი. სავსებით გონივრული შრომა იყო. მერე რამ არია ვითარება და საქართველოს ინტერესების გაყიდვა რამ განაპირობა, არ ვიცი.

***– ნაშრომი ნამდვილად სააკაშვილის დაწერილი იყო?***

– აბა, ვისი დაწერილი იქნებოდა? მისი იყო. მერე რაც გააკეთა სააკაშვილმა, ყველაფერი სახელმწიფო ღალატი გახლდათ. ნაშრომი სწორი იყო. ჭეშმარიტების ბილიკი სააკაშვილმა იცოდა, მაგრამ შეგნებულად მიდიოდა ჭეშმარიტების წინააღმდეგ.

***– აქედან გამომდინარე, ქვეყნის ბედზე დაფიქრებული სააკაშვილი რამდენად წარმოსადგენია?***

– ამ კაცს გადახრები აქვს, მაგრამ ამის დეტალიზაცია, რომელს რა ჰქვია ლათინურად და ბერძნულად – ეს სხვა პროფესიის საქმეა. ისე, ამ კაცს ატროფირებული აქვს სახელმწიფოსადმი პასუხისმგებლობის გრძნობა. სამხრეთ ამერიკაში იყო ფუჯიმორი, რომელიც ორი ვადით მართავდა ქვეყანას და პასუხისმგებლობა ჰქონდა ქვეყანაზე. ეტყობა, მასშტაბური კაცი იყო. სააკაშვილი არ არის იმ მასშტაბის პიროვნება, რომ სახელმწიფოზე პასუხისმგებლობა ჰქონდეს.

***– ნეტა, თავის ნამოქმედარს თუ უკეთებს ანალიზს, ან რა უნდა, საერთოდ?***

– ეს საკითხები შედის იმ პროფესიულ თემაში, რომელსაც მე და თქვენ არ ვეკუთვნით. ისე კი, სააკაშვილი ბატის სანდობი კაცი რომ არ არის, ეს აშკარაა. გარდა იმისა, რომ აგენტია რუსეთისა და სხვების, ის ისეთი პიროვნული სტრუქტურა არ არის, რომელსაც უნარი აქვს, პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდეს. ჩემთვის და თქვენთვის ეს საინტერესოა.

***– იქნებ, როცა წლები გავა და მემუარების წერას დაიწყებს, მაშინ ჰქონდეს გააზრებული და დაფიქრდეს თავის ნამოქმედარზე.***

– ქალბატონო გულიკო, ეს სასაცილოა, სასაცილო. შევარდნაძესაც აქვს მემუარები დაწერილი – რამდენიმე წიგნი. მე ერთმა კაცმა მთხოვა წლების წინ, აქსეოლოგიური ანალიზი გამეკეთებინა.

***– შევარდნაძის მემუარების?***

– ჰო. კარგი ლიტერატურული პირობები აღმიქვა. მოვინდომე, მაგრამ ისეთი გულისამრევი იყო, უბრალოდ, ვერ გავისვარე.

***– შევარდნაძე მოვლენებს შელამაზებულად აღწერს.***

– შევარდნაძე მოვლენებს აღწერს და ცდილობს, ძალიან იჭაჭება, რომ მკითხველი მოატყუოს, მაგრამ იმდენად პრიმიტიული ჭკუა აქვს, ამას ვერ ახერხებს. გული აგერევა, მისი წიგნი ისეთი საზიზღრობაა.

***– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილიც იმავე გზას დაადგება?***

– ალბათ, მოინდომებს, რომ შევარდნაძის გზას დაადგეს, თუ ციხეში არ შეხვდა იმ თარიღს, როცა მემუარების ასაკი მოუვა.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილს სამუდამო პატიმრობა ელოდება?***

– ბუნების კანონების მიხედვით, ასე უნდა იყოს.

***– შევარდნაძეს რომ ასცდა ეს ბედი?***

– შევარდნაძემ პატიმრობას შეიძლება საიქიოში გაასწროს, მაგრამ, იმედი მაქვს, მაინც გასამართლდება.

***– თქვენ ამის აუცილებლობას ხედავთ?***

– რა თქმა უნდა. სახალხო ფრონტი რომ შეიქმნა, საშუალებები იყო, შემოწირულობები გვქონდა, ძალიან გვინდოდა და ვერ მოვაბი თავი, გაგვესამართლებინა კომუნისტური პარტია, მაგრამ მაშინ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგი – შევიმუშავე, როგორ უნდა გაასამართლო. – იმდროინდელი ჩეკისტები, ჩამშვებები, ჯალათები და ტროიკები მოქმედებდნენ თავიანთი დროის მოქმედი კანონის მიხედვით. ამიტომ მაშინდელი კანონით ვერ გაასამართლებ. მაშინ რომელი კანონით უნდა გაასამართლო? ამ საკითხის გადაწყვეტის გზა მე მოვნახე და დავასაბუთე კიდეც. ძალიან სკრუპულოზური მეცნიერული ანალიზით (რომელიც მოიცავს ფილოსოფიურ ანალიზსაც, აქსეოლოგიურსაც) უნდა დაადგინო ადამიანის მოქმედების ნორმები, რომელიც იგულისხმება ნებისმიერი კანონმდებლობის უკან. ამას ჰქვია მეტაიურიდიული სფერო, ანუ ადამიანის წარმოდგენები სამართალზე, იმაზე, რა უნდა გააკეთო და რა – არა, რომელიც წინ უსწრებს კოდექსებს და რომლის ნაჟური და კვინტენსენცია არის კოდექსები. ეს უნდა დააფორმულირო მეცნიერულად, აიღო ნორმად და მის საფუძველზე გაასამართლო სუპერდამნაშავეები.

***– სხვათა შორის, იგივე დასავლეთი ეწინააღმდეგება ამ გასამართლებებს. როგორც ჩანს, შევარდნაძეს დასავლეთი იცავდა და სააკაშვილსაც დაიცავს, რომ მან აიცილოს პასუხისმგებლობა.***

– ჰო. კურსი აღებულია იქითკენ, რომ სააკაშვილისა და მისი ჯგუფის ტყავი გადარჩეს.

***– რამდენად არის მისაღები ეს ქართველი ერისთვის?***

– აბსოლუტურად მიუღებელია. ეს არის ძალიან ვიწრო პრაგმატიზმი, ისეთი ვიწრო, რომელიც უკვე დაუჯერებელია.

***– მოდით, ისიც ვთქვათ, რატომ არის აუცილებელი, რომ ამ ადამიანებმა პასუხი აგონ, ვთქვათ, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებზე?***

– კაცობრიობას მთლიანობაში და ინდივიდსაც პიროვნულად უნდა ჰქონდეს იმის ცნობიერება, რომ დამნაშავე ისჯება. ადრე, როცა ადამიანები მორწმუნეები იყვნენ, მათ ღვთის სამართლის იმედი ჰქონდათ. იმასაც კი, ვინც ურწმუნოა, უნდა ჰქონდეს იმედი, რომ დამნაშავე დაისჯება. ღმერთი ყველაფერს ხედავს. თუ ღმერთი არაა, რაღაც ობიექტური ჭეშმარიტება ხედავს და შესაბამისი სასჯელი მოვა. ამის გარეშე ცხოვრება ადამიანისთვის აუტანლად მძიმეა. აი, ამიტომ კაცობრიობას სჭირდება დამნაშავეთა გასამართლება. სიკვდილის შემდეგ გასამართლებასაც ძალიან დიდი აზრი აქვს.

***– ამიტომ ჩვენი ერისთვისაც აქვს აზრი დამნაშავეთა გასამართლებას?***

– რა თქმა უნდა.

***– როგორც ჩანს, საქართველოში 20-წლიანი არეულობების, კატაკლიზმების პერიოდი არ დასრულდა იმის გამო, რომ პასუხი არ მოეთხოვათ რეალურ დამნაშავეებს.***

– ამას ძალიან დიდი ძალისხმევა და ენერგიის დახარჯვა სჭირდება. გაასამართლეს ფაშისტი დამნაშავეები, მაგრამ ყველაფერი კი არ გაითვალისწინეს, რაც მათ ჩაიდინეს და რაც კაცობრიობამ იცის, არამედ გაითვალისწინეს იმ ტიპის დანაშაულები, რომლებიც მათ დანერგეს. დააფიქსირეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები. ამას დაერქვა დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ. აქ ნორმების მოინახვის საკითხია, რომლის მიხედვითაც გაასამართლებ. მაშინ კომუნისტები გამარჯვებულები იყვნენ და მათ არ შეეხნენ. ახლა კომუნისტები სამართლდებიან.

***– სხვათა შორის, როდესაც ბაჩო ახალაია დააპატიმრეს, მაშინ გერმანელმა მინისტრმა განაცხადა, ჩვენთან მინისტრებს არ აპატიმრებენო. ახლა აღარ ჰყავთ ალბათ დასაჭერი მინისტრები, თორემ თავის დროზე ნიურნბერგის პროცესი რისთვის გაიმართა.***

– ბუნებრივია, არ აქვთ, მაგრამ კორუფციასთან დაკავშირებით, მგონი, ერთი მინისტრი იქაც დააპატიმრეს. ნიურნბერგის პროცესზე სხვა ტიპის დანაშაულები დააფიქსირეს. შემდგომი ნაბიჯი არ გადადგმულა. დღეს არის სხვა ტიპის დანაშაულები. ყველამ იცის, რომ ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული დასჯადია და ამ ტიპის დანაშაულის ჩადენას ერიდებიან.

# თიკა ჯამბურია ლიდერია

ეკა ირემაშვილი



მომღერალი თიკა ჯამბურია, რომელიც პროექტ „ახალ ხმაში“ მონაწილეობს, ისევ ესემეს ლიდერია. მას მაყურებლის უმრავლესობა უჭერს მხარს. მომღერლის იმედები, რომელმაც ოჯახის დანგრევის შემდეგ მტკიცედ გადაწყვიტა, კარიერას დაბრუნებოდა და წარმატებებისთვის შვილის მომავლის უზრუნველსაყოფად მიეღწია, გამართლდა. ის ნინო ჩხეიძის გუნდშია და ფინალამდე ერთი ტურით ადრე კვლავ ლიდერობა მოიპოვა. თიკამ გულშემატკივართა ყველაზე მეტი ხმა დააგროვა.

ფინალურ გალაკონცერტამდე ერთი ლაივ-ტურით ადრე „ახალი ხმის“ რინგზე ერთმანეთს დათო ფორჩხიძისა და ნინო ჩხეიძის გუნდები დაუპირისპირდნენ. ოთხ-ოთხი მონაწილიდან მომდევნო ტურში თითო გუნდიდან ორ-ორი კონკურსანტი გადავიდა. დათო ფორჩხიძის გუნდიდან ესემეს ლიდერი სალომე ქათამაძე გახდა. მწვრთნელმა კი მიიღო გადაწყვეტილება და ლაშა თოფურია გადაარჩინა. მისმა ასეთმა პოზიციამ კონკურსს გარეთ დატოვა ძმები გულაშვილები და მაკო კვიტაიშვილი.

ნინო ჩხეიძის გუნდის ლიდერი თიკა ჯამბურია აღმოჩნდა. თვითონ მწვრთნელმა ლევან გვაზავას პროექტში დატოვება ისურვა. „ახალი ხმის“ მიღმა დარჩნენ ია ტომაში და ირინა ბაირამაშვილი. ორივე კონკურსანტმა, რომლებიც პროექტში მწვრთნელების გადაწყვეტილებით დარჩნენ, ესემესებში ყველაზე ნაკლები ხმა დააგროვეს.

კონცერტზე მისული მაყურებლისთვის დათო ფორჩხიძემ წარსულში ყველაზე პოპულარული ჯგუფი „სახე“ გააცოცხლა. ამ ყველაფერში მას საკუთარი გუნდი და დათო ხუჯაძე დაეხმარნენ. დათოს არც ნინო ჩამორჩა და თავის გუნდთან ერთად შეასრულა ერთი კომპოზიცია, რა თქმა უნდა, მისთვის დამახასიათებელ მუსიკალურ ჟანრში. ბოლო კონცერტი „ახალი ხმის“ ეგიდით 12 იანვარს გაიმართება. ბოლო კონცერტში ოთხივე გუნდის წევრი მიიღებს მონაწილეობას და გამარჯვებულიც გამოვლინდება.

პროექტი საქართველოში პირველად ტარდება. მასში მონაწილეობის სურვილი ბევრმა გამოთქვა, თუმცა „ახალ ხმაში“ მხოლოდ რჩეულები მოხვდნენ. პირველ სეზონზე მწვრთნელების რანგში საზოგადოებამ იხილა ნინო ჩხეიძე, მერაბ სეფაშვილი, დათო ფორჩხიძე და მაია და სტეფანე.

— „ახალი ხმა“ გამორჩეული ტალანტების კონკურსია. ეს არის შოუ, რომელშიც ნიჭიერება წარმოადგენს მთავარ ღირებულებას. აქ მთავარია ხმა და არა გარეგნობა! მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს აქვთ ჩვენთან მოხვედრის შანსი. მხოლოდ გამორჩეული ხმა! — ეს არის მთავარი ამ შოუში! „ახალი ხმა“ მიზნად მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალი ვარსკვლავის აღმოჩენას ისახავს. საუბარია იმ ერთ ადამიანზე, რომელსაც აქვს უნიკალური ხმა! სხვა შოუებისაგან განსხვავებით, „ახალ ხმაში“ კონკურსანტები საკუთარ ინდივიდუალობას ინარჩუნებენ, თავად ირჩევენ სიმღერას სასურველ ჟანრში. აქ არ არსებობს დაცინვა და ირონია! სწორედ ამაში მდგომარეობს „ახალი ხმის“ უნიკალურობა! შოუს დასაწყისში ცნობილმა მომღერლებმა ანუ მწვრთნელებმა, რომლებიც მონაწილეებს ვერ ხედავდნენ, მათთვის სასურველი კონკურსანტები აუდიენციის, ანუ ბრმა მოსმენის მეშვეობით ამოირჩიეს მხოლოდ მათი ხმის ხარისხისა და მღერის ტექნიკის გათვალისწინებით, რადგან ჩვენ ვეძებთ ხმას და არა გარეგნობას! სავარძლები, რომლებშიც მწვრთნელი-მუსიკოსები ისხდნენ, სცენისკენ ზურგით იდგა. როდესაც მწვრთნელს კონკურსანტის ნამღერი მოეწონებოდა, ხელს აჭერდა წითელ ღილაკს „მე გირჩევ შენ!“ და სავარძელი სახით სცენისკენ შემობრუნდებოდა. სწორედ ამ დროს ხედავდა მწვრთნელი პირველად თავის რჩეულს. მოსმენების შემდეგ თითოეულ მწვრთნელს 12 მონაწილისაგან შემდგარი საკუთარი გუნდი ჩამოუყალიბდა, რომელთანაც მათ მთელი პროექტის მანძილზე იმუშავეს. პროექტის მორიგი ეტაპია რინგი, სადაც უკვე თავად გუნდის წევრები ეჯიბრებიან ერთმანეთს და, შესაბამისად, მათი რაოდენობა ნახევრდება. თითოეულ მწვრთნელს 6 კონკურსანტი რჩება გუნდში. რინგის შემდეგ 24 კონკურსანტი განაგრძობს შოუში მონაწილეობას, რომელთაგან მაყურებელი სმს-ების საშუალებით ირჩევს ერთადერთ ფინალისტს. საბოლოო ჯამში, ყველა შერჩეული კონკურსანტი გაივლის სწავლებას ცნობილ მომღერალ-მწვრთნელთან, რომელსაც დაეხმარება პროფესიონალთა ჯგუფი. მწვრთნელები არა მარტო ასწავლიან, არამედ მონაწილეებთან ერთად სცენაზე მღერიან ლაივ-შოუების დროს. ფინალში კი გაიმარჯვებს ის მონაწილე, რომელიც ერთდროულად ფლობს განსაკუთრებულ ტალანტს, ვოკალურ მონაცემებსა და თვისებებს. „ახალი ხმის“ გამარჯვებული შტურმით აიღებს ქვეყნის მუსიკალურ ინდუსტრიას, — ასე მიაჩნიათ პროექტის მესვეურებს.

ვინ გახდება პირველი სეზონის გამარჯვებული და „ახალი ხმა“, ამას უკვე 12 იანვარს შევიტყობთ.

# ეროვნული არქივი კერძო კოლექციებით გამდიდრდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივი კერძო კოლექციებით გამდიდრდა. არქივში ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით გაიმართა იმ მოქალაქეების მიღება, რომლებმაც ბოლო წლებში ეროვნულ არქივს საჩუქრად გადასცეს მათ საოჯახო არქივებში დაცული ისტორიული და კულტურული ღირებულების მქონე დოკუმენტები. მიწვეულ სტუმრებს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მადლობა გადაუხადა ეროვნული საარქივო ფონდის გამდიდრებაში შეტანილი წვლილისათვის და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

როგორც ეროვნული არქივის წარმომადგენელი თეა ქიმერიძე აცხადებს, ეროვნული არქივისთვის ნაჩუქარი დოკუმენტები შინაარსის მიხედვით მრავალფეროვანია. ამ მასალებისგან, რიგ შემთხვევაში, შეიქმნა პირადი ფონდები, ნაწილი კი დაემატა იმ კოლექციებს, რომელიც ეროვნულ საარქივო ფონდში უკვე არსებობდა. დოკუმენტების მიღების შემდეგ ეროვნული არქივის ცენტრალურ არქივებში მასალები საარქივო წესით დამუშავდა, შედგა აღწერები და ხელმისაწვდომი გახდა მკვლევართათვის. ამავე ღონისძიებაზე გაიმართა ეროვნული არქივის მიერ გამოცემული 2013 წლის კალენდრის პრეზენტაცია. მასში გამოყენებულია „საქინფორმის“ კოლექციაში დაცული 1960-1990-იან წლებში გადაღებული ფოტოეტიუდები.

— ეროვნულ არქივს 2011-2012 წლებში მოქალაქეებმა გადასცეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტები: კომპოზიტორ სულხან ცინცაძის პირადი ფონდი, რომელიც არქივს გადასცა სულხან ცინცაძის მეუღლემ ლიანა ცინცაძემ. ფონდში შესულია: კომპოზიტორის პირველი და ბოლო ნამუშევრები, რომანსები, ოპერები, მუსიკა სპექტაკლებისა და კინოფილმებისთვის, საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართული კონცერტების აფიშები, ქართულ და უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული სტატიები და სხვა; ვახტანგ და გივი ჟორდანიების საოჯახო ფონდის შესავსებად მათი ოჯახის წევრი ალეკო ჟორდანია არქივს პერიოდულად აწვდის დოკუმენტაციას; ენათმეცნიერ გურამ ბედოშვილის ვაჟმა ვასილ ბედოშვილმა მამის პირადი ფონდი არქივს გადასცა. დოკუმენტებს შორისაა: დღიურები, ჩანაწერები, მოწმობები და სხვა; ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორმა ომარ შუდრამ თავისი და მამის, სერგო შუდრას, რომელიც გასული საუკუნის 40-იან წლებში „დინამოს“ ფეხბურთელი იყო, საოჯახო ფონდის შესავსებად არქივს გადასცა პირადი დოკუმენტები და ფოტოები; კომპოზიტორ ია კარგარეთელის შვილიშვილმა ალექსანდრე კოპაძემ ეროვნულ არქივს კარგარეთელის ფონდის შესავსებად გადასცა კომპოზიტორის პირადი დოკუმენტები; ნოტების საბეჭდი მანქანის გამომგონებლის, მუსიკოს ვასილ თამარაშვილის შვილიშვილმა ნოდარ ხითარიშვილმა არქივს გადასცა ვასილ თამარაშვილის პირადი ფონდი; ენათმეცნიერ ნიკო მარის ნათესავმა გიორგი ბალუაშვილმა არქივს გადასცა ნიკო მარისა და მისი შვილის, ირანისტ იური მარის სამეცნიერო და ბიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტები; რეჟისორმა მერაბ გაგუამ ეროვნულ არქივს გადასცა თავისი დოკუმენტური ფილმების ორიგინალი ფირები: „ჯადოქრობა“, „სერჟანტი ბართია“, „მე, მწყემსი“, „ქართული მონეტები“, „თიბათვე“, „ქართული კოსტიუმები“, „ადამი და მთები“, „კეთილი იმედის მიწა“, „დედა ღვთისმშობელი“; რეჟისორმა დავით ცინცაძემ ეროვნულ არქივს გადასცა 2008 წელს მის მიერ გადაღებული ფილმი „შავნაბადა“ ფოლკლორულ ანსამბლ „შავნაბადას“ შესახებ; რეჟისორმა გივი ყურელმა არქივს გადასცა თავისი დოკუმენტური ფილმების ფირები „სიყვარულს უშენებია“, „გელბახიანი“, „ხალიბი“, „ქართველ მედიკოსთა სამჭედლო“, „საქართველოს ახალგაზრდობა“, „მეუღლეები დარჩნენ მარტო“; რეჟისორმა ლაშა ბაქრაძემ არქივს გადასცა მამის აკაკი ბაქრაძის ლექციებისა და საზოგადოების წინაშე გამოსვლების აუდიოჩანაწერები; ნათელა კელაპტრიშვილმა არქივს გადასცა მეუღლის, მუსიკოს ომარ კელაპტრიშვილის შემოქმედების ამსახველი ვიდეო და აუდიომასალა; ცნობილი ქართველი მხატვრის ოთარ ჩხარტიშვილის შვილმა ნატა ჩხარტიშვილმა არქივს გადასცა მამის შესახებ 1880-იან წლებში რეჟისორ რუსლან ღონღაძის მიერ გადაღებული დაუსრულებელი დოკუმენტური ფილმის მასალები; მუსიკოსმა ნინო შველიძემ არქივს გადასცა 2010 წელს გამოცემული კომპაქტდისკი „კავკასიელ ხალხთა მუსიკა“; თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმის წარმომადგენელმა რუსუდან დაუშვილმა არქივს გადასცა ქართველი მსახიობების მიერ 1970-1990 წლებში შესრულებული საოპერო წარმოდგენების ფონოჩანაწერები; ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა არქივს გადასცა კომპაქტდისკი „ანზორ ერქომაიშვილი“; ნინო ნანეიშვილმა არქივს გადასცა მგალობელთა გუნდი „იალონი“ ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობის კომპაქტდისკი; მედეა თაბუკაშვილმა არქივს გადასცა ექიმის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ღამბაშიძის მიერ XX საუკუნის დასაწყისში გადაღებული მინის ფოტონეგატივები და სლაიდები, ასევე, ქართველი ემიგრანტის ვანო ქიქოძის გადაღებული ფერადი სლაიდები. ფოტოები შეემატა ღამბაშიძეებისა და ქიქოძის კოლექციებს; რეზო და ნათელა ნიკოლაძეებმა არქივს გადასცეს 1890-1930-იან წლებში გადაღებული ფოტოები, მათ შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაკრძალვის კადრები პარიზში, 1930 წელს, აკაკი წერეთლის დაკრძალვის კადრები, ძველი თბილისის ფოტოების რეპროდუქციები და სხვა; ლია წილოსანმა არქივს გადასცა 1967-1980-იან წლებში თბილისში ფოტოგრაფ ლევან პაატაშვილის გადაღებული შავ-თეთრი და ფერადი ფოტოების კოლექცია, რომელიც მიხეილ ქობალიანის პირად არქივში ინახებოდა; დავით ჩარგეიშვილმა არქივს საჩუქრად გადასცა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გადაღებული 5 ცალი ქაღალდზე ნაბეჭდი ფოტო, რაც ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობის დოკუმენტებს წარმოადგენს; ეროვნული არქივის თანამშრომელმა ვერა ქიქოძემ არქივს საჩუქრად გადასცა მისი ბაბუის, მხატვარ ვლადიმერ ქიქოძის სამი ნამუშევარი „ნიკორწმინდა“, „გრემი“, „დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი“, რომლებიც შესრულებულია მუყაოზე ზეთის საღებავებით, — აცხადებს ეროვნული არქივის წარმომადგენელი.

მისივე თქმით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი 2012 წლის განმავლობაში 51.000-მდე მოქალაქეს მოემსახურა.

— საისტორიო, უახლესი ისტორიის, კინოფოტოფონოდოკუმენტების, ქუთაისის ცენტრალური, ასევე, ადგილობრივი არქივებიდან მოქალაქეებმა 50.000-ზე მეტი თემატური და სოციალურ-უფლებრივი ხასიათის ცნობა მიიღეს, მკვლევართა დარბაზებში კი 700-მდე ადამიანმა იმუშავა, რომელთაგან 70 უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო. ეროვნულ არქივში დაცული მასალებიდან მოქალაქეები, ძირითადად, ითხოვენ შემდეგ დოკუმენტებს: დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების ცნობა; რეპრესიისა და რეაბილიტაციის ცნობა; სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა; გენეალოგიური და ბიოგრაფიული ხასიათის ცნობა; ქონებრივი უფლების დამადასტურებელი ცნობა. ეროვნული არქივის საცნობარო მომსახურების მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლებში, ასევე, რეგიონულ და ადგილობრივ არქივებში. რაც შეეხება მკვლევრებს, 2012 წლის განმავლობაში ისინი მუშაობდნენ შემდეგ თემებზე: ბერძნები საქართველოში; რუსეთის იმპერიის რეპრესირებული პოლიტიკის გატარება დაღესტანში; კავკასია XIX-XX საუკუნეებში; კავკასიის არქეოგრაფიული მასალები; შუა აზიის ირიგაციის ისტორია; მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა სამხრეთ აზერბაიჯანში; სახელოვნებო დაწესებულებები 1920-30-იანი წლების კავკასიაში, — ამბობს თეა ქიმერიძე.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

**SMS-განცხადებები - 3090**

**იყიდება**

❖ ძალიან იაფად! მუხრან-თელეთში, თბილისიდან 20 კმ-ში, 275კვ.მ. 2-სართულიანი საცხოვრებელ სახლი, 600კვ.მ მიწის ნაკვეთით, ბუნებრივი აირით და საკუთარი წყლით.მიმდინარეობს სველი წერტილების მონტაჟი. ფასი: 27.000 დოლარი. შესაძლებელია განვადება. ტელ:. 599-72-27-48, 599-42-55-49. გია.

**განცხადებები**

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერტიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

# ჟოზე მოურინიო: „პრემიერლიგის ჩემპიონი მანჩესტერული კლუბი გახდება“



მას შემდეგ, რაც მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ იკერ კასილასის ნაცვლად ანტონიო ადანი ჩააყენა კარში, გულშემატკივართა დიდი რისხვა გამოიწვია. ამ ფაქტმა მისი სკამი, ცოტა არ იყოს, შეარყია. ამასთან, მოუ „სამეფო კლუბში“ 2010 წლის ზაფხულიდან მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ შარშან მოახერხა პრიმერადივიზიონის მოგება, ამჟამად კი საკმაოდ დიდი ჩამორჩენა აქვს „ბარსელონასთან“.

თუ „განსაკუთრებული“ მადრიდს დატოვებს, მას გადასვლას მხოლოდ ნისლიან ალბიონს უწინასწარმეტყველებენ. იქნებ სწორედ ამის გამო ესაუბრა „სანის“ კორესპონდენტი და დიალოგიც მხოლოდ ინგლისურ ფეხბურთზე გაიმართა.

***– სულ ცოტა ხნის წინ არსენ ვენგერს 17 წელი შეუსრულდა, რაც „არსენალის“ თავკაცია, თუმცა, ერთი ნაკლი ისაა, რომ 2005 წლის მერე ტიტული არ მოუგიათ.***

– დიახ, ეს, რა თქმა უნდა, მშვენიერი მიღწევაა და მეც ვისურვებდი ასეთ სტაბილურ სამუშაოს რომელიმე კლუბში, მაგრამ მე ისეთი სტილის სპეციალისტი ვარ, რომ ერთ გუნდში ამდენ ხანს გაჩერება ძალზე გამიჭირდება. შეიძლება, 2-3 სეზონი გავჩერდე ერთ გრანდში მომავლის ასაშენებლად და ტიტულების მოსაგებად, მაგრამ მერე სხვა გუნდთან ერთად მომინდეს ტიტულების მოგება. „არსენალისთვის“ კი აუცილებლად დადგება ერთი მშვენიერი დღე, როდესაც ტიტული ეღირსებათ – ლონდონელები საკმაოდ კარგ ფეხბურთს თამაშობენ და ამას იმსახურებენ.

***– როგორ გგონიათ, წელს პრემიერლიგის ჩემპიონი ვინ გახდება?***

– ამ რბოლაში ფავორიტი „მანჩესტერ იუნაიტედია“ და, როდესაც ეს კლუბი პირველ ადგილს იკავებს, ძალიან რთულია მისი იქიდან ჩამოგდება. თუმცა, არც „მანჩესტერ სიტის“ ნაადრევად ჩამოწერა ივარგებს, რომელთაც შესანიშნავი შემადგენლობა ჰყავთ, მოქმედი ჩემპიონები არიან და აუცილებლად იბრძოლებენ, რომ კვლავ ჩემპიონები გახდნენ.

***– თქვენს ყოფილ შეგირდსა და ასისტენტ ანდრე ვილაშ-ბოაშსა და მის გუნდზე რას გვეტყვით?***

– „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ ბრწყინვალე შემადგენლობა ჰყავს, მაღალი დონის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული, რომლებიც პრემიერლიგაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებიან. რა თქმა უნდა, წელს ჩემპიონები ვერ გახდებიან, თუმცა ოთხეულში შესვლა თავისუფლად შეუძლიათ, სამეულში თუ არა.

***– თქვენს ყოფილ და უძვირფასეს „ჩელსისაც“ რომ არ შევეხოთ, გამორიცხულია!***

– „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ სრულიად მოულოდნელი დამარცხების შემდეგ მათი საჩემპიონო შანსები საგრძნობლად შემცირდა, თუმცა ოთხეულისთვის უეჭველად იბრძოლებენ და, ჩემი ღრმა რწმენით, იქ დარჩებიან კიდეც.

***– როგორია თქვენი გადმოსახედიდან პრემიერლიგის წლევანდელი ტოპ-ოთხეული?***

– „იუნაიტედი“, „სიტი“, „ტოტენჰემი“ და „ჩელსი“.

***– და „არსენალი“?***

– ამ სეზონში „მეთოფეები“ ხან ძალიან კარგად თამაშობენ და ხან არც ისე კარგად, ეს კი ოთხეულში მოსახვედრად საკმარისი არაა და თანაც მათ „ტოტენჰემთან“, „ჩელსისთან“ და „ევერტონთან“ მოუწევთ ბრძოლა, რაც ძალზე რთულია. ისე, დევიდ მოიესის „ევერტონსაც“ თავისუფლად შეუძლია ოთხეულში შესასვლელად ბრძოლა – ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ, მშვენივრად დაბალანსებული და მე ძალიან მომწონს.

***– საუბრის ბოლოს, თქვენს იმ კოლეგებზე რას გვეტყვით, რომელთაც პირველ წრეში დიდი წნეხი გადაიტანეს?***

– მაგალითად, ალან პარდიუ ჩემი მეგობარია და წელს რთული პერიოდი გაიარა, თუმცა გასულ სეზონში „ნიუკასლი“ ბრწყინვალედ ასპარეზობდა. ბრენდან როჯერსი და მისი „ლივერპულიც“ ნელ-ნელა სტაბილურობისა და შედეგიანობისკენ მიიწევენ. ამ სეზონში მესამე და მეოთხე ადგილისთვის ძალიან მაგარი ბრძოლა გაიმართება, ჩემპიონი კი, ჩემი აზრით, რომელიმე მანჩესტერული კლუბი გახდება.

# მესის მორიგი რეკორდი – ზედიზედ მეოთხედ „ოქროს ბურთი“

ციურიხში ფიფას ოქროს ბურთით დაჯილდოების მორიგი ცერემონია გაიმართა.

შვეიცარიაში მთელი მსოფლიოდან უამრავი ცნობილი ადამიანი ჩავიდა, მათ შორის, არა მხოლოდ საფეხბურთო სამყაროდან.

### წლის საუკეთესო მამაკაცი ფეხბურთელი

ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ ზედიზედ მეოთხედ დასახელდა ერთი და იგივე ფეხბურთელი. წლის საუკეთესო მამაკაც ფეხბურთელად არგენტინელი ლეო მესი დასახელდა. „ბარსელონას“ შემტევს უკვე აქამდე არნახული რაოდენობის „ოქროს ბურთებისთვის“ აქვს თავი მოყრილი და დიდი შანსი აქვს, მისი რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდოს.

ლიონელ მესიმ ხმების 41.60 პროცენტი მიიღო. 23.6 პროცენტით მეორე ადგილზე გავიდა კრიშტიანუ რონალდუ, ხოლო ანდრეს ინიესტას ხმების 10.91 პროცენტი ხვდა წილად.

„ოქროს ბურთით“ ხელდამშვენებულმა არგენტინელმა კომენტარი გააკეთა და საუკეთესო სამეულში შემავალი მისი თანაგუნდელი ანდრეს ინიესტა შეაქო.



**ლეო მესი:**

– სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს ჯილდო ცოტა დაუჯერებელიც კია – ოქროს ბურთის ზედიზედ ოთხჯერ მოგება ფანტასტიკური შედეგია და თავი სიზმარში მგონია! მინდა, ყველა თანაკლუბელს და თანაგუნდელს მადლობა ვუთხრა, ანდრეს ინიესტას კი გამორჩეულად – ანდრეს, შენ მხარდამხარ თამაში ჩემთვის ძალიან დიდი პატივია.

2012 წელი ლეო მესისთვის, ტრადიციულად, ძალიან წარმატებული გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთი გუნდური ტიტული მოიგო – ესპანეთის თასი. სამაგიეროდ, არაერთი ინდივიდუალური ჯილდო მოიპოვა და უამრავი რეკორდი გააუმჯობესა: 17 თებერვალს ესპანეთის ჩემპიონატში საიუბილეო, მე-200 შეხვედრა ჩაატარა; 7 მარტს ლევერკუზენის „ბაიერს“ 5 გოლი გაუტანა და პირველი ფეხბურთელი გახდა ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, ვინც ეს მოახერხა; 20 მარტს „გრანადას“ ჰეთ-თრიქი შეუსრულა და ოფიციალურ ტურნირებში „ბარსელონას“ საუკეთესო ბომბარდირი გახდა – სესარ როდრიგესის საკლუბო რეკორდი, 232 გოლი გააუმჯობესა; 3 აპრილს ჩემპიონთა ლიგაში მორიგი გოლები გაიტანა და ჟოზე ალტაფინის 1962-63 წლების მიღწევა – ევროსეზონში 14 გოლი გაიმეორა; 5 მაისს „ესპანიოლთან“ მატჩში პოკერი შეასრულა და არჩი სტარკის (ბეთლეემი, 1924-25 წლების სეზონი, ამერიკის საფეხბურთო ლიგა) შემდეგ გახდა მხოლოდ და მხოლოდ მეორე მოთამაშე, რომელმაც უმაღლეს დონეზე ერთ სეზონში 70-ზე მეტი ბურთი შეაგდო; 50 ბურთით ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ჩემპიონთა ლიგის მთავარმეგოლის ტიტული კი ზედიზედ მეოთხედ მოიგო, ამჯერად 14 გოლით; აგვისტოში, ესპანეთის სუპერთასზე მადრიდის „რეალს“ მორიგი გოლი გაუტანა და „ბარსელონას“ ისტორიაში კლასიკოების საუკეთესო ბომბარდირი გახდა 15 გოლით; 11 ნოემბერს ორჯერ გაუტანა „მალიორკას“ და ფეხბურთის მეფეს პელეს გადაუსწრო – კალენდარულ წელიწადში 75-ე და 76-ე გოლები შეაგდო; 1 დეკემბერს ბილბაოს „ატლეტიკთან“ დუბლი შეასრულა – ჩემპიონატში საკლუბო რეკორდსმენს, 190 გოლის გამტან სესარ როდრიგესს გაუთანაბრდა; 9 დეკემბერს სევილიის „ბეტისთან“ კიდევ ერთხელ შეასრულა დუბლი და ლეგენდარული გერმანელი ბომბარდირის გერდ მიულერის მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა – ერთ წელიწადს ყველაზე მეტი, 86 გოლი შეაგდო, საბოლოოდ კი 2012 წელი 91 ბურთით დაასრულა.

18 დეკემბერს „ბარსელონამ“ ოფიციალურად განაცხადა, რომ სუპერვარსკვლავთან ახალი კონტრაქტი გაფორმდა – 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

ლეო მესი ზედიზედ მეოთხედ კი გახდა „ოქროს ბურთის“ მფლობელი, მაგრამ, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, გამარჯვებულისთვის ხმა ქართველთაგან არც ერთ წარმომადგენელს არ მიუცია.

გამოკითხვაში მონაწილეობდნენ თითოეული ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელები, კაპიტნები და კიდევ, ერთი მედიასაშუალება. მედიიდან ხმის მიცემის უფლება გაზეთ „სარბიელის“ რედაქტორ ზურაბ ფოცხვერიასა და ვახტანგ ბზიკაძეს აქვთ.

ყველაზე ახლოს ქეცბაია იყო, რომლის სამეული დაემთხვა საბოლოო ტრიოს, თუმცა არათანმიმდევრობით – რონალდუ გაიყვანა პირველზე.

თემურ ქეცბაია: 1. რონალდუ, 2. მესი, 3. ინიესტა.

ჯაბა კანკავა: 1. რუნი, 2. მესი, 3. ჩავი.

ზურაბ ფოცხვერია და ვახტანგ ბზიკაძე: 1. რონალდუ, 2. მესი, 3. ფალკაო.

### წლის საუკეთესო მამაკაცი მწვრთნელი

2012 წლის მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად ესპანეთის ეროვნული ნაკრების დამრიგებელი ვისენტე დელ ბოსკე დასახელდა.

გასულ წელს დელ ბოსკეს მიერ გაწვრთნილმა ესპანეთმა ევროპის ჩემპიონატი ზედიზედ მეორედ მოიგო. ბოლო დროს „ფურია როხას“ დომინირება იმდენად აშკარაა, რომ დელ ბოსკეს გამარჯვება გასაკვირი არ ყოფილა. 62 წლის სპეციალისტმა ხმების 34.51 პროცენტი მიიღო. მე-2 ადგილზე გავიდა მადრიდის „რეალის“ თავკაცი ჟოზე მოურინიო, რომელსაც ხმების 20.49 პროცენტი ერგო. სამეულში შევიდა „ბარსელონას“ ყოფილი მწვრთნელი პეპ გვარდიოლა, რომელიც ამჟამად შვებულებაშია – 12.91 პროცენტი.

### წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი

საუკეთესო ქალ ფეხბურთელად კი აშშ-ის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ები უომბაკი დასახელდა.

უომბაკი 2012 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული, საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდა. 32 წლის ამერიკელმა ხმათა 20.67 პროცენტი მიიღო. ბრაზილიელმა მარტამ (13.50) ამჯერად მეორე ადგილი დაიკავა და მეექვსე გამარჯვება ვეღარ მოიპოვა. მესამე ადგილზე კი კიდევ ერთი ამერიკელი, ალექს მორგანი (10.87) გავიდა.

### ქალთა ფეხბურთში წლის საუკეთესო მწვრთნელი

ქალთა ფეხბურთის საუკეთესო მწვრთნელად აშშ-ის ნაკრების ყოფილი და შვედეთის ეროვნული ნაკრების ამჟამინდელი დამრიგებელი პია სუნდჰაგე დაასახელეს.

პია შარშანწინ მესამე იყო, შარშან – მეორე, წელს კი საუკეთესო გახდა. სუნდჰაგეს ხელმძღვანელობით, აშშ-ის ნაკრებმა 2012 წელს ოლიმპიადაზე გაიმარჯვა. წლის საუკეთესოს ხმების 28.59 პროცენტი ერგო. მეორე ადგილი შარშანდელმა გამარჯვებულმა ნორიო სასაკიმ (23.83) დაიკავა, მესამეზე კი საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი ბრუნო ბინი (9.02) გავიდა.

### 2012 წლის საუკეთესო გოლი (ფერენც პუშკაშის პრიზი)

გამარჯვება სლოვაკეთის ნაკრებისა და თურქული „ფენერბაჰჩეს“ 23 წლის ნახევარმცველმა მიროსლავ სტოხმა მოიპოვა. 2012 წლის 3 მარტს „გენჩლერბირლიგის“ კარში გატანილმა ულამაზესმა გოლმა რადამელ ფალკაოს და ნეიმარის არანაკლებ ლამაზ გოლებს აჯობა.

### ფიფას პრეზიდენტის პრიზი

ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 2012 წლის ფიფას პრეზიდენტის ჯილდო ლეგენდარულ ფრანც ბეკენბაუერს გადაეცა.

67 წლის „კაიზერ ფრანცი“ ისეთ ადამიანებს შეუერთდა, როგორებიც არიან: სერ ალექს ფერგიუსონი (2011 წელი), დესმონდ ტუტუ (2010 წელი), პელე (2007 წელი), ჯაჩინტო ფაკეტი (2006 წელი) და სხვა.

### ფეირ ფლეის პრიზი

ეს პრიზი კი უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციას დარჩა. უზბეკურმა კლუბებმა და სხვადასხვა ასაკის ეროვნულმა ნაკრებებმა მთელი წლის განმავლობაში ყურადღება სუფთა თამაშით და აირ ლაყ-ს პრინციპების დაცვით მიიქციეს და ფიფას აღიარება დაიმსახურეს.

### ფიფას სიმბოლური ნაკრები

საინტერესოა, რომ გასული წლის საუკეთესო გუნდი მთლიანად ლა ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებით დაკომპლექტდა. 5-5 წარმომადგენელი „ბარსელონასა“ და „რეალს“ ჰყავთ, ხოლო ერთი – „ატლეტიკოს“.

### 2012 წლის სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:

მეკარე: იკერ კასილიასი (ესპანეთი, რეალი);

მცველები: დანიელ ალვესი (ბრაზილია, ბარსელონა), ხერარდ პიკე (ესპანეთი, ბარსელონა), სერხიო რამოსი (ესპანეთი, რეალი), მარსელო (ბრაზილია, რეალი);

ნახევარმცველი: ჩაბი ალონსო (ესპანეთი, რეალი), ჩავი (ესპანეთი, ბარსელონა), ანდრეს ინიესტა (ესპანეთი, ბარსელონა);

თავდამსხმელები: ლიონელ მესი (არგენტინა, ბარსელონა), კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია, რეალი), რადამელ ფალკაო (კოლუმბია, ატლეტიკო).

ბოლოს გვინდა გაგაცნოთ ფიფას მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა სრული სია:

2012 – ლეო მესი (ბარსელონა, ესპანეთი; არგენტინა), 2011 – ლეო მესი (ბარსელონა, ესპანეთი; არგენტინა), 2010 – ლეო მესი (ბარსელონა, ესპანეთი; არგენტინა), 2009 – ლეო მესი (ბარსელონა, ესპანეთი; არგენტინა), 2008 – კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი; პორტუგალია), 2007 – კაკა (მილანი, იტალია; ბრაზილია), 2006 – ფაბიო კანავარო (ტურინის იუვენტუსი, იტალია/მადრიდის რეალი, ესპანეთი; იტალია), 2005 – რონალდინიო (ბარსელონა, ესპანეთი; ბრაზილია), 2004 – რონალდინიო (ბარსელონა, ესპანეთი; ბრაზილია), 2003 – ზინედინ ზიდანი (მადრიდის რეალი, ესპანეთი; საფრანგეთი), 2002 – რონალდო (მილანის ინტერი, იტალია/მადრიდის რეალი, ესპანეთი; ბრაზილია), 2001 – ლუიშ ფიგუ (მადრიდის რეალი, ესპანეთი; პორტუგალია), 2000 – ზინედინ ზიდანი (ტურინის იუვენტუსი, იტალია; საფრანგეთი), 1999 – რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი; ბრაზილია), 1998 – ზინედინ ზიდანი (ტურინის იუვენტუსი, იტალია; საფრანგეთი), 1997 – რონალდო (ბარსელონა, ესპანეთი/მილანის ინტერი, იტალია; ბრაზილია), 1996 – რონალდო (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია/ბარსელონა, ესპანეთი; ბრაზილია), 1995 – ჟორჟ ვეა (პარი სენ-ჟერმენი, საფრანგეთი/მილანი, იტალია; ლიბერია), 1994 – რომარიო (ბარსელონა, ესპანეთი; ბრაზილია), 1993 – რობერტო ბაჯო (ტურინის იუვენტუსი; იტალია), 1992 – მარკო ვან ბასტენი (მილანი, იტალია; ჰოლანდია), 1991 – ლოთარ მათეუსი (მილანის ინტერი, იტალია; გერმანია)

# ქართველებმა მასპინძლები გაანადგურეს

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა მალტის საერთაშორისო ტურნირზე მეორე შეხვედრა გუშინ მასპინძელ მალტასთან გამართა და მეტოქე დიდი ანგარიშით 10:1 დაამარცხა. პირველი ტაიმი 4:0 დასრულდა ქართველების გამარჯვებით.

მეორე ნახევარიც ასათიანისა და არველაძის შეგირდების უპირატესობით წარიმართა და ტაბლოზე ფინალური ანგარიში 10:1 დაფიქსირდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები კუნძულზე ამ შემადგენლობით გახლავთ წასული: ჯამბურია, გაბუჩია, ალთუნაშვილი, ჯვარაშვილი, ასათიანი, ლუკავა, ჯაფარიძე, მაისაია, სებისკვერაძე, კაკაბაძე, ჭანუყვაძე, ბობოხიძე, კობაიძე, შელეგია.

დღის კიდევ ერთ მატჩში საბერძნეთმა ინგლისი 3:0 დაამარცხა და დიდი ალბათობით პირველი ადგილიც გაინაღდა, რადგანაც ბოლო ტურში აუტსაიდერი მალტის (მასპინძლებმა ინგლისთანაც წააგეს – 0:2) დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ.

ფუტსალის დელეგაცია 4 იანვრიდან მალტაზე იმყოფება და დღეს ინგლისელებს დაუპირისპირდებიან. ეროვნული ნაკრები თბილისში 11 იანვარს დაბრუნდება.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პრემიერლიგა**

რაიო-ხეტაფე ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 18 | 17 | 1 | 0 | 61:19 | 52 |
| 2.ატლეტიკო | 18 | 13 | 2 | 3 | 38:18 | 41 |
| 3.რეალი | 18 | 11 | 3 | 4 | 45:20 | 36 |
| 4.მალაგა | 18 | 9 | 4 | 5 | 28:13 | 31 |
| 5.ბეტისი | 18 | 10 | 1 | 7 | 28:29 | 31 |
| 6.ლევანტე | 18 | 9 | 3 | 6 | 24:25 | 30 |
| 7.რაიო | 18 | 9 | 1 | 8 | 25:33 | 28 |
| 8.ვალენსია | 18 | 8 | 3 | 7 | 25:27 | 27 |
| 9.სოსიედადი | 18 | 7 | 4 | 7 | 27:24 | 25 |
| 10.ხეტაფე | 18 | 7 | 3 | 8 | 24:26 | 24 |
| 11.ვალიადოლიდი | 18 | 6 | 4 | 8 | 24:24 | 22 |
| 12.სევილია | 18 | 6 | 4 | 8 | 23:26 | 22 |
| 13.სარაგოსა | 18 | 7 | 1 | 10 | 20:26 | 22 |
| 14.ბილბაო | 18 | 6 | 3 | 9 | 22:36 | 21 |
| 15.სელტა | 18 | 5 | 3 | 10 | 19:23 | 18 |
| 16.მალიორკა | 18 | 4 | 5 | 9 | 17:30 | 17 |
| 17.გრანადა | 18 | 4 | 4 | 10 | 14:27 | 16 |
| 18.ესპანიოლი | 18 | 3 | 6 | 9 | 19:30 | 15 |
| 19.დეპორტივო | 18 | 3 | 6 | 9 | 22:39 | 15 |
| 20.ოსასუნა | 18 | 3 | 5 | 10 | 14:20 | 14 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ქსანთი-ოფი ........ 3:0

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ოკლაჰომა ........ 101:99
ნიუ იორკი-ბოსტონი ........ 96:102
ნიუ ორლეანი-სან ანტონიო ........ 95:88
ჩიკაგო-კლივლენდი ........ 118:92
იუტა-დალასი ........ 100:94
პორტლენდი-ორლანდო ........ 125:119(ოტ)
საკრამენტო-მემფისი ........ 81:113

**ხელბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

ხორვატია-ნორვეგია ........ 35:38
საფრანგეთი-არგენტინა ........ 26:10

**ჩოგბურთი**

**ატპ. სიდნეი. პირი**

ლოპესი-შრდი ........ 6:7;7:5;6:3
შტეპანეკი-გარსია ლოპესი ........ 6:2;6:3
ნიემინენი-ფაუ ........ 6:0;6:1
რობრედო-მილმანი ........ 3:6;4:6
ანდერსონი-ბედენე ........ 6:3;3:6;6:3
დიმიტროვი-ფონინი ........ 3:6;1:6
ჰარისონი-ბატისტა ........ 6:1;6:0
ტომიჩი-მატოსევიჩი ........ 6:3;6:4

**ატპ. ოკლენდი. პირი**

სისლინგი-ჰასე ........ 3:6;6:3;7:5
ჰირალდო-სოედა ........ 6:1;6:0
მელცერი-ჯონსი ........ 6:7;2:6
ფალა-ზემლია ........ 6:4;6:1
ლევაინი-ტერნერი ........ 6:2;6:2
მონფილსი-ბეკერი ........ 6:7;6:3;6:4

**ვტა. სიდნეი. პირი**

რადვანსკა ა.-დატე კრუმი ........ 6:4;6:3
ერანი-კირილენკო ........ 6:1;6:1
ლი-მორიტა ........ 6:1;6:0
ციბულკოვა-მაკაროვა ........ 7:6;1:6;7:6
ვინჩი-იანკოვიჩი ........ 3:6;6:4;7:6
ვოზნიაცკი-კუზნეცოვა ........ 6:7;6:1;2:6
კერბერი-ვოსკობოევა ........ 6:2;7:5
ჩჟენი-კეისი ........ 0:6;4:6

**ვტა. მუირა ჰობარტი. პირი**

ზაკოპალოვა-ბაბოში ........ 6:4;6:3
იოვანოვსკი-ტორო ........ 6:0;7:6
შვედოვა-ვესნინა ........ 6:4;2:6;1:6
კირსტეა-დეივისი ........ 1:6;3:6

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ჟერარ დეპარდიე ფრანგული სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს

დღეს მსახიობი ჟერარ დეპარდიე ფრანგული სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს. მას ბრალად მოტოციკლის ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მართვა ედება.

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე მსუბუქ ავტოსაგზაო შემთხვევას ეხება, რომელშიც ჟერარ დეპარდიე მონაწილეობდა.

შემთხვევა ნოემბრის ბოლოს მოხდა. დეპარტიე პოლიციელებმა მას შემდეგ დააკავეს, რაც პარიზის ერთ-ერთ გზაჯვარედინზე თავისი მოტოციკლიდან გადმოვარდა.

აღნიშნული კანონდარღვევის გამო დეპარდიეს ან 4,5 ათასი ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდა, ან ორი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ამ დრომდე უცნობია გამოცხადდება თუ არა დანიშნულ დროს მსახიობი სასამართლოში.

შეგახსენებთ, რომ ჟერარ დეპარდიემ საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარი გასული წლის დეკემბერში განაცხადა. ამის მიზეზი მეტისმეტად მაღალი გადასახადები გახდა. იგი თავდაპირველად ბელგიაში გადასახლდა, რასაც საფრანგეთის ხელისუფლების მწვავე რეაქცია მოჰყვა. ვლადიმირ პუტინმა მას რუსეთის მოქალაქეობა რამდენიმე დღის წინ მიანიჭა.



თავის მხრივ, რუსეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი თინა კანდელაკი ჟერარ დეპარდიეს მის ბინაში ჩაწერას და მასთან ცხოვრებას სთავაზობს. ამის შესახებ კანდელაკი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ წერს.

„აქ ბევრი გუბერნატორი ჟერარ დეპარდიეს მის ბინაში ჩაწერას სთავაზობს. მოდით, იგი არ გავიყოთ, უბრალოდ მე მომეცით. ჩემთან ჟერარი გახდება და სპორტით დაკავდება! მზად ვარ, იგი ჩემს ბინაში ჩავწერო! დაე, იცხოვროს ბედნიერად. და თქვენთან რას გააკეთებს!?“, – წერს კანდელაკი.

ჯერ კიდევ დეკემბრის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ჟერარ დეპარდიემ, რომელიც ნიკოლა სარკოზის მომხრე იყო, საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ფრანსუა ოლანდის გამარჯვებისა და მისი საგადასახადო რეფორმის გამო ქვეყნის დატოვება გადაწყვიტა.

დეპარდიე ფრანგულ პასპორტზე უარის თქმას და ბელგიის მოქალაქეობის მიღებას აპირებდა. მოგვიანებით მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დეპარდიეს რუსული პასპორტის მიღება სურდა.

გ. მ.

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# „ვეფხისტყაოსნის“ იუბილეს წიგნი მიეძღვნა

გეწაძის, ლადო ასათიანის, იოსებ ნონეშვილის, ოთარ მამფორიას, მიხეილ ქვლივიძის, ილო ბეროშვილის, შოთა ჩანტლაძის, მურმან ლებანიძის, ანა კალანდაძის, ფრიდონ ხალვაშის, მუხრან მაჭავარიანის, მორის ფოცხიშვილის, ნაზი კილასონიას, ოთარ შალამბერიძის, ჯანსულ ჩარკვიანის, ზაურ ბოლქვაძის, ანზორ აბულაშვილის, შოთა ხოდაშნელის, ტარიელ ჭანტურიას, ვახტანგ ჯავახაძის, გივი გეგეჭკორის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ელენე დიდიმამიშვილის, ზურაბ გორგილაძის, გენო კალანდიას, თენგიზ სვანიძის, ნომადი ბართაიას, დავით მჭედლურის, დავით შემოქმედელის, მანანა ჩიტიშვილის, მურად მთვარელიძის, ზაზა თვარაძის, ლალი თოთაძის, ქეთევან შენგელიას, ვასილ ბოსტაშვილის, ქეთევან დოლიძის, ლია სტურუასა და ბესიკ ხარანაულის ნაწარმოებები. კრებული გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა. წიგნის წინასიტყვაობა მწერალმა თამაზ ჭილაძემ სპეციალურად ამ კრებულისთვის დაწერა. პროექტის ავტორი და შემდგენელია დავით შემოქმედელი, მთავარი რედაქტორი – მაყვალა გონაშვილი, დიზაინერი – გიორგი წერეთელი, ტექნიკური რედაქტორი – ნანა ჭოჭუა, ოპერატორი – დალი გიორგაძე, დამკაბადონებელი – თამარ ტყაბლაძე. წიგნში, ლექსების გარდა, წარმოდგენილია ილუსტრაციები, რომლებიც ასევე „ვეფხისტყაოსნის“ თემაზეა შექმნილი ცნობილი მხატვრების ზიჩის, ქობულაძის, ფიროსმანის, იანქოშვილის, ფეტვიაშვილის, თოიძის, კუხალაშვილის, გუგუშვილისა და მატაბელის მიერ. რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელ დავით შემოქმედელის თქმით, უახლოეს მომავალში ეს იუბილე რუსთაველის თეატრში გრანდიოზულად აღინიშნება.

**დავით შემოქმედელი, რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელი:**

– საქართველოს რუსთაველის საზოგადოება არის პირველი ეროვნულ-პოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა იმ დროს, როცა საქართველოში რომანტიკულ-ნაციონალური მოძრაობა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო თავის პიკში და ქართველი ხალხის ერთ-ერთი ეროვნული ლიდერი გახლდათ მაშინ აკაკი ბაქრაძე. თუმცა, უკან რომ დავიხიოთ, ეს საზოგადოება შეიქმნა უფრო ადრე, 90-იანი წლის დასაწყისში და მისი პირველი თავმჯდომარე გახლდათ ირაკლი აბაშიძე. შემდეგ პრეზიდენტად აირჩიეს ბატონი აკაკი ბაქრაძე. რუსთაველის საზოგადოებას მისი დაარსებიდან დღემდე ხელმძღვანელობდნენ ირაკლი აბაშიძე, აკაკი ბაქრაძე, მურმან ლებანიძე, მიხეილ ქურდიანი და ახლა თქვენი მონა-მორჩილი. მაშინ საქართველოს მთელმა ინტელექტუალურმა ელიტამ ამ საზოგადოებაში მოიყარა თავი. ჩვენს საზოგადოებაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოს პატრიარქი ხელმძღვანელობდა რელიგიურ კომიტეტს, ზვიად გამსახურდია – რუსთველოლოგიის კომიტეტს, ჩვენს საზოგადოებაში იყო სხვადასხვა კომიტეტები. მაშინ არ ყოფილა საქართველოში რამე ისეთი ეროვნული საქმე, რომელშიც ჩვენი საზოგადოება არ ყოფილიყოს ჩართული, თუმცა რუსთაველის საზოგადოება ასოცირდება აკაკი ბაქრაძესთან და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან აკაკი ბაქრაძე არის ამ საზოგადოების სული და გული და ბედნიერი ვარ, რომ მან გურიიდან გადმომიყვანა აქ და ის იყო ჩემი სამშობლოზე ფიქრის მასწავლებელი. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ მაშინ, როდესაც სტიქიამ დააზარალა სვანეთი და აჭარა, ჩვენმა საზოგადოებამ დაახლოებით 80.000 ოჯახამდე დაზარალებული ჩაასახლა მარნეულისა და ახალციხის რაიონებში და ეს პროცესი წარმატებით დასრულდა.

*– ახლა რას საქმიანობთ?*

– არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუკი საბერძნეთი ასოცირდება ჰომეროსთან, ინგლისი – შექსპირთან, იტალია – დანტესთან, გერმანია – გოეთესთან, საქართველო არის რუსთაველი, იმიტომ რომ რუსთაველი ქართველი ხალხის ყველაზე მაღლა ატანილი სახელია, საკრალური სახელია, რადგან ქართულმა აზროვნებამ და სულიერმა რენესანსმა ყველაზე დიდ სიმაღლეს მიაღწია რუსთაველში. გერმანიაში არსებულ გოეთეს საზოგადოებას ბიუჯეტის წლიური ბრუნვა აქვს სამი საქართველოს ბიუჯეტის დონის. მისი ფილიალები მთელ მსოფლიოშია გაბნეული, მათ შორის საქართველოში. ამ საზოგადოებას ჰქონდა თავისი აღმავლობისა და დაღმავლობის პერიოდები, ისევე, როგორც ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში. ამჟამად რუსთაველის საზოგადოება არის საზოგადოებრივ-კულტურული ორგანიზაცია და მას შემდეგ, რაც ჩვენ პოლიტიკური სტატუსი მოვიხსენით, ინტერესი მასმედიის მხრიდან განელდა. ბატონ აკაკის არ სურდა, რომ რუსთაველის სახელი შეგვეწუხებინა, რადგან აქ მოდიოდა ბევრი დემაგოგი პოლიტიკოსი და ჩვენი საზოგადოების მეშვეობით თავის მოსვრილ სახელს ისუფთავებდა, ამიტომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ რუსთაველის საზოგადოება არ ჩაერიოს პოლიტიკაში. სამწუხაროდ, საქართველოში მიმდინარეობს აზროვნების ლიკვიდაცია, არ ხდება ძირეული სულიერი ფესვის პოპულარიზაცია და წინა პლანზე წამოწევა, თუმცა ჩვენ განახლების წინააღმდეგი არ ვართ, ეს აუცილებელია და ამის ფორმულა ყველაზე კარგად გრიგოლ რობაქიძემ თქვა თავის „გველის პერანგში“: როგორც გველი იცვლის თავის პერანგს, მაგრამ გველი რჩება გველად, ასე უნდა იყოს საქართველოც, მან უნდა შეძლოს, მოერგოს ცვლილებებს, მაგრამ უნდა დარჩეს საქართველოდ. ეს ძალიან კარგი მეტაფორაა ერის სულიერი განახლებისა. ამ მხრივ მისაბაძი ერია იაპონია, ის არც სიახლეებს ჩამორჩება, მაგრამ თავის ფასეულობებსაც არ ივიწყებს და არ ღალატობს. მან მიაღწია ცივილიზაციის უმაღლეს მწვერვალებს. იაპონური კულტურა თვითმყოფადია და არ ბაძავს არავის, ჩვენთან ხდება პირიქით, ჩვენ ისევ ძველებურად მივჩანჩალებთ ტექნიკური განვითარების კუთხით და ამ დროს კულტურაში ვბაძავთ ქუჩურ ამერიკას და არა ფოლკნერისა და სტეინბეკის კულტურას, ანუ ჩვენ მეორად კულტურას ვბაძავთ, რაც არანაირად არ არის ღირებული, ამით ჩვენ ვკარგავთ თვითმყოფადობას, ეს კი ნიშნავს, რომ ასეთ მდგომარეობაში არავისთვის არ ვიქნებით საინტერესო, როგორც მეორადი კულტურა, რასაც ახლა რიმეიკსა და რემიქსს ეძახიან. ადრე სირცხვილად ითვლებოდა, ვინმესთვის მიგებაძა ან სხვისი სიმღერები გემღერა, ახლა, პირიქით, კონკურსები ტარდება და ქართველები მაქსიმალურად ბაძავენ სხვებს. მიბაძვაში გამარჯვებული ადამიანი როგორ იქნება ნამდვილი ხელოვანი?

*– ბატონო დავით, ეს კრებული სპეციალურად ამ იუბილესთვის გამოეცით?*

– დიახ. წელს არის ქართველი ერისა და ქართული კულტურის ცივილიზაციის ერთ-ერთი უდიდესი ნაწარმოების „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის 300 წლის იუბილე. ვახტანგ მეექვსემ 1712 წელს თავისსავე დაარსებულ სტამბაში პირველად დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. მას ეწოდებოდა „თარგმანებაი“ და ის მოიცავდა ანალიზს. ამით ვახტანგ მეექვსემ სათავე დაუდო რუსთველოლოგიას და ქართველ ერს მისცა ამ პოემის ანალიზი. ეს ნაშრომი დღემდე არ კარგავს აქტუალობას და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომია, სადაც „ვეფხისტყაოსანი“ ფუნდამენტურად არის განხილული. ამ იუბილესადმი მიძღვნილი ბევრი ღონისძიება ჩატარდა. ჩვენც ამ თარიღთან დაკავშირებით დავიწყეთ ღონისძიებების ციკლი, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მოვაწყვეთ საღამო „ჩვენ ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“ მსოფლიოს 14 ენაზე და მასში ჩვენი ახალგაზრდები ჩავრთეთ. იყო სპეციალური ჟიური, რომელსაც თქვენი მონა-მორჩილი ხელმძღვანელობდა, ჟიურიში შედიოდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გიორგი კეკელიძე და მეცნიერები. ჩვენ ყველა ეს მასალა გადავუგზავნეთ იუნესკოს, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ იუბილე იუნესკოს ეგიდითაც აღნიშნება. რუსთაველის საზოგადოებაში მოვაწყვეთ სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი რუსთველოლოგები. გარდა ამისა, პოეტმა და დეკორატიული ხელოვნების მოღვაწემ ვიეტა აბშილავამ გამოფინა ხელთნაქარგები „ვეფხისტყაოსანზე“. კოლექციონერებს, რომლებიც „ვეფხისტყაოსნებს“ აგროვებენ, ვთხოვეთ, გამოფენაზე წარმოედგინათ მათ კოლექციაში დაცული რუსთაველის ეს გენიალური პოემა და გამოვფინეთ ისინი ფართო საზოგადოებისთვის. გვინდა, მომავალშიც მოვაწყოთ კოლექციონერთა გამოფენა, რომელსაც ეროვნული ბიბლიოთეკა უმასპინძლებს.

*– მხოლოდ კულტურულ ღონისძიებებზე მუშაობთ?*

– დიახ. შარშან იყო ვაჟა ფშაველას 150 წლის იუბილე, რომელიც ასევე იუნესკომ აღნიშნა და ჩვენ მოვაწყვეთ სპეციალური ღონისძიება. პანტომიმის თეატრში მივიწვიეთ სტუმრები და წარვუდგინეთ ამ თეატრის სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“. გარდა ამისა, სხვადასხვა წლებში ჩავატარეთ აკაკი ბაქრაძის, ავთო ვარაზის, ჰამლეტ გონაშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის, იპოლიტე ხვიჩიას, აკაკი ხორავას საღამოები, შეხვედრები გვქონდა ოტია იოსელიანთან, პაატა ბურჭულაძესთან, თეიმურაზ გუგუშვილთან, ზურაბ სოტკილავასთან.

*– კიდევ რა ღონისძიების ჩატარებას აპირებთ?*

– ჩვენ ძირითადად ვატარებთ სამეცნიერო კონფერენციებს, პოეზიის საღამოებს, შეხვედრებს ხელოვან მოღვაწეებთან, ვაწყობთ დისკუსიებს. რელიგიის კანონი რომ მიიღო პარლამენტმა, პირველები ვიყავით, ვინც ამ კანონში საშიშროება დავინახეთ და სამებაში მოვიწვიეთ საეკლესიო მოღვაწეები, პოლიტიკოსები, საზოგადოების წარმომადგენლები. მაშინ ხმამაღლა ვთქვით, რომ ამ კანონს კითხვის ნიშნებს აქვს. ჩვენმა ინიციატივამ დიდი რეზონანსი მიიღო. ჩვენ მიერ წამოჭრილი საკითხები სწორედ რომ დროულია და მათზე რეაგირება მყისიერად უნდა მოხდეს. თუნდაც ის, რომ ქართული ტელევიზიები წალეკა უცხო ენებიდან შემოჭრილმა სიტყვებმა, ქართულ სივრცეში ელემენტარულად სტილისტი არ არსებობს. ბავშვისა და მოზარდისთვის ტელევიზიიდან ნათქვამი სიტყვა ავტორიტეტია.

*– ამის გამოსწორება შესაძლებელია?*

– რა თქმა უნდა. ჩვენი დიდი სურვილია, რომ ტელესივრცეში არსებობდეს ერთი არხი, რომელსაც ეწოდება „კულტურა“. თუკი ვსვამთ კითხვას, რა არის საქართველო? საქართველო, უპირველესად ყოვლისა, არის კულტურა, ამიტომ ჩვენს ქვეყანაში უნდა იყოს სპეციალური არხი, რომელიც მთლიანად ქართულ კულტურას დაეთმობა. ჩამოყალიბებული გეგმა უკვე გვაქვს, ამის თაობაზე ვესაუბრე კიდეც წინა კულტურის მინისტრ ნიკოლოზ ვაჩეიშვილს, ჯერ კიდევ ნიკოლოზ რურუამდე ეს აზრი მივაწოდე სამინისტროს. მან მადლობაც კი გადამიხადა და ჩემი მოსაზრება მოიწონა, მთავრობის სხდომაზე დავაყენებ ამ საკითხსო, შემპირდა, მაგრამ არანაირი რეაგირება არ ყოფილა.

*– ახალ მინისტრს არ ესაუბრეთ?*

– ჯერ არა, მაგრამ აუცილებლად ვესაუბრები. ამ არხის შექმნაში გნებავთ მთავრობამ, გნებავთ კერძო სექტორმაც მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ მთავარია, რომ ის იყოს მაღალ ღირებულებებზე და არა მასკულტურაზე. თუ მისი დონე დაეცა, შეიძლება, უარესიც იყოს, ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. კულტურა კი ფართო ცნებაა და ყველაფერს მოიცავს – მხატვრობას, მუსიკას, ლიტერატურას, თეატრს, კინოს. თუ ამას განვახორციელებთ, ჩვენს იდენტობას გადავარჩენთ. მიმაჩნია, რომ საქართველოში უმნიშვნელოვანესი სწორედ ეს საკითხია.

*– გეყოლებათ მაყურებელი?*

– არ შეიძლება, რომ არ იყოს. საქართველოში ნამდვილად არის საზოგადოება, რომელმაც იცის ნამდვილი ღირებული კულტურის ფასი. მჯერა, რომ ჩვენი ტელევიზიის მაყურებლის რიცხვი თანდათან გაიზრდება. საბედნიეროდ, გვყავს უნიკალური ადამიანები ქართულ კულტურაში, რომლებიც დღეს რატომღაც ჩრდილში არიან. მათ გაფრთხილება სჭირდებათ. ამ არხს შეეძლება, დაანახვოს საზოგადოებას, რა არის მარადიული. არ მესმის, რა არის თანამედროვე ლიტერატურა და კულტურა. ის, რაც მოდურია, მალევე გადადის. ხელოვნება უნდა იყოს მარადიული და არა მოდური. თანამედროვე არ არის, როცა დღეს კითხულობ ვაჟას და შეიგრძნობ, როგორ იღებს ხმას ალუდა ქეთელაური პიროვნების უფლებების დაცვაზე?! მან ხომ იმ დამყაყებულ ცხოვრებაში ძველი, ცუდად გაგებული ტრადიციის წინააღმდეგ ასე გაილაშქრა. დღეს რასაც ვწერთ, არ უნდა იყოს მოდური. მას უფრო ღრმა ფესვები უნდა ჰქონდეს.

*– ბატონო დავით, შემოქმედელი თქვენი გვარია?*

– არა, წარმოშობით გურიიდან ვარ, ულამაზესი სოფლიდან, შემოქმედიდან. გადავწყვიტე, დავით შემოქმედელი ვყოფილიყავი, რადგან ეს იქნებოდა მადლიერების გამოხატვა ჩემი მშობლიური კუთხისადმი. ასე რომ, ეს ჩემს სოფელსაც უკავშირდება და ჩემს შემოქმედებასაც.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. გულის ნაწილი; 2. სილამაზის, სიყვარულის, ბედნიერების, სიმდიდრის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში; 3. მსახიობის პატივსაცემად გამართული წარმოდგენა; 4. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 7. მტკიცება, რომელიც აღიარებულია რაიმე თეორიის ამოსავალ დებულებად, დასაბუთების გარეშე; 8. მექანიკური სასიგნალო მოწყობილობა ძველებურ ავტომობილებზე; 12. ნანადირევისათვის განკუთვნილი სპეციალური ჩანთა; 14. საკანონმდებლო ორგანო აშშ-ში; 16. ალუმინის შემცველი მინერალი; 17. დარბაზის ფეხბურთი; 19. გემის უკანა ნაწილი; 20. ინდოელ ქალთა კაბა.

**თარაზულად**: 5. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 6. ალპებში გავრცელებული თეთრი ყვავილი; 9. პოპულარული ქართული სიმღერა; 10. მეზღვაურთა, მეთევზეთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 11. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კომპანია; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 18. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამა; 21. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 22. პრინცესას ტიტული ესპანეთში; 23. საცხენოსნო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. წალამი; 2. ქულამა; 3. სპარინგი; 4. მიტენი; 6. ბარახასი; 8. დრეიფი; 11. მარტვილი; 12. მუტაცია; 16. ჭინკა; 17. მანგო; 18. დაიმი.

**თარაზულად:** 1. წირქოლი; 5. სააბი; 7. ოპუნცია; 9. აზნაური; 10. მეოტიდა; 13. ფარგალი; 14. კაპასი; 15. პუმა; 19. ჩარხილი; 20. საფერავი; 21. გარპაგონი; 22. ტიტანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სკუტერი; 2. ჩიხურა; 3. აკვარელი; 4. პატეფონი; 7. ნატახტარი; 8. კვარტალი; 12. სპინინგი; 14. მექანიკა; 16. კურიოზი; 17. ჰეტმანი; 19. საბა; 20. სვია.

**თარაზულად:** 5. სკალპელი; 6. ესკალაცია; 9. ვენერა; 10. რუტერი; 11. ბანჯო; 13. ოპუსი; 15. მედუზა; 18. გურჯი; 21. თითლიბაზი; 22. ოროველა; 23. ხანჩალი.

# ბარაქ ობამა ჰამიდ კარზაის 11 იანვარს უმასპინძლებს

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამა პარსაკევს, 11 იანვარს თეთრ სახლში ავღანეთის პირველ პირს, ჰამიდ კარზაის უმასპინძლებს. ეს ორი ქვეყნის ლიდერის პირველი შეხვედრა იქნება, ობამას მეორე ვადით გაპრეზიდენტების შემდეგ.

თეთრი სახლის განცხადებით, შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა იქნება, რომელიც, სავარაუდოდ, 2014 წლის ბოლოსკენ უნდა დასრულდეს.



როგორც უცხოური მედია წერს, აშშ-ის ლიდერი ზეწოლას აწყდება „დემოკრატებისა“ და „რესპუბლიკელების“ მხრიდან, რაც შეიძლება მალე გამოიყვანოს ჯარები ბრძოლის ადგილიდან.

ჯერ დაზუსტებული არ არის თუ რამდენი ამერიკელი ჯარისკაცი დარჩება ქვეყანაში სამხედრო ოპერაციის დასრულების შემდეგ. ეს რაოდენობა 3 000-დან 20 000-მდე მერყეობს.

ავღანეთის პრეზიდენტის პრეს-მდივნის განცხადებით, ამას გარდა, განხილული იქნება ავღანეთის უსაფრთხოების ძალების გამტკიცების საკითხში ორმხრივი თანამშრომლობის, იარაღის მიწოდების, ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხები.

ვიზიტის ფარგლებში კარზაი ამერიკულ ჰოსპიტალში ეროვნული უშიშროების სამმართველოს ხელმძღვანელს ასადულ ხალედს მოინახულებს, რომელიც გასული წლის 6 დეკემბერს ქაბულში მომხდარი ტერაქტის დროს მძიმედ დაიჭრა.

ამ ფონზე, ჰელმანდის პროვინციაში, ავღანეთის სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა პირმა ნატო-ს ჯარისკაცი მოკლა. ჯარისკაცის მოკვლის ფაქტს ადასტურებს „აისაფი“, თუმცა გარდაცვლილი სამხედროს ეროვნებას არ ასახელებს. არსებული ვერსიით კი, იგი ბრიტანელია.

გასულ წელს ავღანეთში შიდა თავდასხმებს ნატო-ს სულ მცირე 63 ჯარისკაცი ემსხვერპლა.

ჰელმანდის პოლიციის განცხადებით, კვირის დასაწყისში განხორციელებული შეტევის შედეგად, დაიღუპა ერთი ბრიტანელი სამხედრო და დაიჭრა ექვსი.

# ევროზონაში უმუშევრობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია



ევროზონაში უმუშევრობამ რეკორდულ მაჩვენებელს 11,8%-ს მიაღწია. ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ესპანეთში, სადაც ეს მაჩვენებელი 26,6%-ია.

მთლიანად ევროკავშირის მასშტაბით 26 მილიონ ადამიანზე მეტი სამუშაოს გარეშეა დარჩენილი. დღევანდელი მონაცემებით ცნობილი ხდება, რომ ახალგაზრდებს შორის უმუშევრობა კიდევ უფრო გაიზარდა და წინა თვის 23,9%-დან 24,4 %-ს მიაღწია.

„გარდიანის“ ცნობით, აქ მკვეთრად განსხვავდება ჩრდილოეთ და სამხრეთის ქვეყნები. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება გერმანიაში(8,1%) და ჰოლანდიაში(9,7%); ყველაზე მაღალი კი საბერძნეთსა(57,6%) და ესპანეთში(56,5%

ევროზონა, ასევე ევროსისტემა ან ევროლენდი რომელიც მოიცავს ქვეყნებს, რომელთა ოფიციალურ ვალუტად ევრო ითვლება. ამ სახელმწიფოებს ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ. ამ ზონაში მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს.

2007 წლისთვის ევროზონაში შემდეგი ქვეყნები შედიოდა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, სლოვენია, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი. შემდეგი ქვეყნები ევროკავშირის წევრები არ არიან, თუმცა ევროს მონეტების გამოშვების უფლება აქვთ: ვატიკანი, სან-მარინო, მონაკო. 2008 წლის 1 იანვარს ევროზონაში შევიდნენ კვიპროსი და მალტა. 2009 წლის 1 იანვარს ევროზონას შეუერთდა სლოვაკეთი, ხოლო 2011 წლის 1 იანვარს – ესტონეთი.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# პენტაგონისა და ცსს-ს ხელმძღვანელთა კანდიდატურები დასახელდა




აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავისი ახალი ადმინისტრაციის ორი მთავარი პოსტის, თავდაცვის მინისტრისა და ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის უფროსის კანდიდატთა ვინაობები დაასახელა.

თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელის პოსტზე ობამამ ყოფილი სენატორი, „რესპუბლიკელი“ ჩაკ ჰეიგელი, ხოლო ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე, ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში პრეზიდენტის ამჟამინდელი მრჩეველი ჯონ ბრენანი დასახელდნენ.

ორივე მათგანი შესაბამის პოსტებზე სავარაუდო კანდიდატებად წინათაც სახელდებოდნენ.

როგორც აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, დამტკიცების შემთხვევაში ჰეიგელი ერთ-ერთი იქნება იმ თავდაცვის მინისტრებიდან, რომელთაც საბრძოლო ჭრილობები აქვთ და ამას გარდა, ის ვიეტნამის ომის ვეტერანი-მინისტრი იქნება. რაც შეეხება ჯონ ბრენანს, ის კონტრტერორისტულ სფეროში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მოღვაწეა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, ბრენანი ტერორიზმთან ბრძოლის ეროვნულ ცენტრს ხელმძღვანელობდა. ამას გარდა, ის „ნომერ პირველი ტერორისტის“ ოსამა ბინ ლადენის განადგურების ოპერაციის ერთ-ერთი მთვარი ორგანიზატორი იყო.

– ჯონ ბრენანისა და ჩაკ ჰეიგელის ორ საკვანძო ძალოვან თანამდებობაზე წარდგენით, აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ყველას დაანახა, რომ ის კონგრესთან კონფრონტაციის მორიგი რაუნდისათვის მზადაა, – ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

კონფლიქტი თეთრ სახლსა და კაპიტოლიუმს შორის სახელმწიფო ვალისა და მთავრობის დანახარჯებზე ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის და ამ დროს ომამამ ყველას დაანახა, რომ არ აპირებს უკან დაიხიოს არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემაზე არსებული თავისი აზრისაგან.

ახლა კაბინეტის ორი წევრის ვინაობის დასახელებით, რომელთა კანდიდატურები ჯერ კიდევ კონგრესმა უნდა დაამტკიცოს, ობამამ გააკეთა მინიშნება იამზე, რომ თეთრი სახლი მზად არის რამდენიმე დაძაბული მოსმენისათვის. ობამას მიერ წარდგენილი პირველი კანდიდატურა – ჯონ ბრენანი, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში თითქმის 25 წლის განმავლობაში მუშაობდა. იგი იყო პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელად მის შესაძლო დანიშვნაზე ხმები ჯერ კიდევ 2008 წლის შემდეგ დადიოდა, მაგრამ მაშინ მან თავად ითხოვა მისი კანდიდატურა ამ თანამდებობაზე არ განხილულიყო.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ექს-მეთაურმა დევიდ პეტრეუსმა თავისი თანამდებობა ნოემბერში დატოვა. ამის მიზეზი გახდა სკანდალი, რომელიც მის ქორწინების მიღმა კავშირებს ეხებოდა. მან საჯაროდ აღიარა, რომ მეუღლეს უღალატა, თუმცა უარყო ვარაუდები იმის შესახებ, რომ თავის საყვარელს რაიმე სახის საიდუმლო ინფორმაცია მიაწოდა.

სენატორ ჯონ კერისთან ერთად, რომელსაც გავრცელებული ინფორმაციით, ობამა ჰილარი კლინტონის შემდეგ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დანიშვნას აპირებს, ჰეიგელი და ბრენანი მეორე საპრეზიდენტო ვადაში ნაციონალური უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირებაზე იმუშავებენ.

„ფრანს პრესის“ ინფორმაციით, ჯონ ბრენანი პრეზიდენტის სრული ნდობით სარგებლობს.

თავის მხრივ, რესპუბლიკელი ჩაკ ჰეიგელი ისრაელს არწმუნებს, რომ ის მთლიანად დაუჭერს მას მხარს, რადგან ისრაელი აშშ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი მეკავშირეა ახლო აღმოსავლეთში.

თავის პირველ ინტერვიუში, რომელიც ჰეიგელმა მას შემდეგ მისცა, რაც პოსტზე ოფიციალურად იქნა წარდგენილი, პენტაგონის მომავალმა შეფმა განაცხადა, რომ მისი მოწინააღმდეგეების გავრცელებული ხმები, რომ თითქოს ის ისრაელის მოწინააღმდეგეა, სიმართლეს არ შეესაბამება. პოლიტიკოსის თქმით, ერთი მტკიცებულებაც კი არ არსებობს საიმისოდ, რომ ის ანტიებრაულ განწყობებს თანაუგრძნობს და მრავალჯერ განუცხადებია, რომ ირანი ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოა. ჩაკ ჰეიგელის პოსტზე წარდგენისთანავე, ის პოლიტიკურმა კონკურენტებმა ისრაელის საწინააღმდეგო შეხედულებებში დაადანაშაულეს. ყოფილმა სენატორმა, რომელიც აშშ-ის სენატში ნებრასკას წარმოადგენდა, თავის დროზე არ დაუჭირა მხარი სანქციებს, რომელიც ირანის წინააღმდეგ დაწესდა, რადგან მას უშედეგოდ და ისრაელისთვისაც ფუჭად მიიჩნევდა. თავდაცვის მინისტრის პოსტის ჩაბარების შემდეგ, ჰეიგელი პირობას იძლევა, რომ რიგი მოსაზრებები გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში, შესაძლოა, გადახედილ იქნას.

# პალესტინის ხელისუფლება საკუთარ თავს „პალესტინის სახელმწიფოს“ უწოდებს

პალესტინის ადმინისტრაციის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა განკარგულება გასცა, სადაც ორგანიზაციას „პალესტინის სახელმწიფო“ გადაარქვეს. აღნიშნულის შესახებ პალესტინური სააგენტო „ვაფა“ იუწყება. ახალი ბრძანების მიხედვით, პალესტინურ პასპორტებზე და სხვა დოკუმენტებზე ახალ სახელს დაიტანენ.

შეგახსენებთ, რომ ამ ცვლილებამდე ერთი თვით ადრე გაერომ პალესტინის ავტონომიას სტატუსი გაუზარდა.

როგორც ცნობილია, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების შემდგომ ორი მეტოქე ფრაქცია „ჰამასი“ და „ფატჰი“ ერთმანეთს დაუახლოვდა. ისრაელთან კონფლიქტის შემდეგ „ფატჰმა“ „ჰამასს“ დასავლეთ ნაპირზე მსვლელობის ჩატარების ნება დართო. „ჰამასმა“ კი, რომელიც ღაზას სექტორს აკონტროლებს, შაბათს ამ რაიონში „ფატჰს“ მსვლელობის მოწყობის ნება მისცა. „სი-ენ-ენ“-ის ცნობით, ეგვიპტის პრეზიდენტმა მოჰამედ მურსიმ აბასი და „ჰამასის“ პოლიტიკური ლიდერი ხალედ მაშაალი პალესტინის გაერთიანების შესახებ სასაუბროდ მიიწვია.

მე-20 საუკუნეში პალესტინის ტერიტორია ბრიტანელებს გადაეცა. ამ პერიოდში ჩნდება ებრაული დასახლებებიც, რომლებიც იზრდებოდა და ივსებოდა ებრაელი რეპატრიანტების ხარჯზე, რაც ადგილობრივ მუსლიმანურ მოსახლეობაში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

# TV პროგრამა

## ოთხშაბათი 9 იანვარი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.40 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 თეატრალური კოლაჟი 17.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 21.00 ტ/სერ. „როსელა„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „სი-ბემოლი„ 23.40 მხ/ფ „ბეტმენი-დასაწყისი„ 02.00 მხ/ფ „მის კონგენიალურობა — 2„ (ტიტ.) (ს.ბალოკი) 03.50 ტ/სერ. „სპირალი„ 04.50 მხ/ფ „დაჯავშნას არ საჭიროებს„ (კ.ზეტა-ჯონსი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 8 ნაწ. 14.00 დ/ფ „ძველების მკვლევარები„ 9 ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 5 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „ოჯახური გამოძიება„ 6 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ/ფ „პრესტიჟი„ (ტიტ.) (ჰ.ჯეკმანი)

08.00 ან.ფ. „სალადინი„ მე–13„ 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 09.15 ან.ფ. „სპანჯბობი„ მე–4„ 5 სერ. 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 3„ 5 სერ. 14.45 სერ. „24 – 4„ 3 სერ. 15.45 სერ. „დამალული სიმართლე„ 5 სერ. 17.40 სერ. „თილისმა„ 6 სერ. 18.50, 19.05 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ.„მარტოსული„ 30 სერ. 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 სერ. „ღვინის გზა„ 3 სერ. 00.00 მხ/ფ „მისტერ და მისის სმიტები„ (ა.ჯოლი) 02.15 მხ/ფ „ამერიკელი ცოლი„ (კ.ს.ტომასი) (ტიტ.) 03.50 მუსიკა

პროგრამაში შესაძლებელია ცვლილებები 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „ქალის მსხვერპლი„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 „შუა დღე„ 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 საქართველოს ვარსკვლავი (პირდ.) 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 07.00 მოკ/ფ „სამოთხის გვრიტები„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „იწყება ზღაპარი„ 11.00 მგზავრები წუთისოფლისა 11.30 დრო და ტრადიციები 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.15 კონცერტი -ელ დივო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მოკ/ფ „ფეოლა„ 16.45 კვირიაკე 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.10 დეკორატიული ფლორა 18.25 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „სიყვარული ყველას უნდა„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „შთამომავლობა„ თ.ჯორჯაძე 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ათოვდა ზამთრის ბაღებს„ I ნაწ.

მაესტრო 07.00, 01.30, 03.55, 04.55, 05.55 ახალი ამბები (კოლაჟი) 07.30, 08.20, 10.30, 11.20, 12.30, 13.30, 15.40, 16.30, 17.10, 18.40, 23.45, 04.30, 05.30, 06.30 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 16.55, 18.55, 06.50 უკომენტაროდ, ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00 ახალი ამბები 08.30, 09.15 შალვა რამიშვილის „დილა„ 11.30, 22.00, 01.10 „ყოველდღიური აბები„ 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.25 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 02.05 თოქ-შოუ „არგუმენეტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 02.50 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# სამგლოვიარო განცხადებები

## გულიკო გაფრინდაშვილის გახსენება



ერთი წელი გავიდა, რაც შენი სული მარადისობაში გადავიდა. გვჯერა, შენი შვილები გასახელებენ და მამას დარდს შეუმსუბუქებენ. ჩვენ ყოველთვის მოგიგონებთ ტკივილითა და სიამაყით.

*გიული, ვენერა, გულნაზი, ლენა*



ჯუმბერ, მურთაზ ჯიშკარიანები, ივანე, სოფიო, სიმონ ჯაფარიძეები, ერეკლე უგრელიძე, მარიამ უზუნაშვილი, გიორგი მელუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ისრაელში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ებრაელი მწერალი და მთარგმნელი, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, საბას და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, შესანიშნავი მამულიშვილი

**ჯემალ აჯიაშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, შესანიშნავი პედაგოგი, გულისხმიერი კოლეგა, ჩვენთვის მეტად ძვირფასი და ახლობელი ადამიანი, ქალბატონი

**ვიოლა ბერიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს ამ მძიმე განსაცდელის ჟამს.

პანაშვიდი: 8, 9 იანვარს, 17 საათზე, შროშის ქ. 8/10. I სადარბაზო, VIII სართული.

გამოსვენება: 10 იანვარს, 14 საათზე, ამაღლების სახელობის ეკლესიიდან (საბურთალოს პანთეონი).

ქალაქ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე ბიბლიოთეკის თანამშრომლის თამარ ლომიას მამის

**ბიჭიკო ლომიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ოჯახს.

*თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის პროფკომიტეტი*

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ღირსების ორდენის კავალერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ზურაბ ჩანტლაძე**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**9 იანვარი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6566

ევრო — 2,1842

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870

რუსული რუბლი — 5,3463

**ამინდის პროგნოზი 9 იანვრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით —2-5, ღამით — -5 -2.

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 7-13, ღამით — 5-6.

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 6-8, ღამით — -5 -7.




# ახალი წლიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები




## 10 იანვრიდან! „ახალ თაობასთან“ ერთად

## ილია II ოქროს ხანა

**სამტომეულის 1-ლი ტომი**

## „ესპრესო“: 400 ათასმა რუსმა ბრიტანეთის დედაქალაქი ლონდონგრადად გადააქცია

„რუსებმა ლონდონი დაიპყრეს, აქ ყველაზე ნაკლები 400 ათასი ადამიანია. სახელგანთქმული ოლიგარქები საკუთარი ნებით თუ აუცილებლობით აქ გადმოვიდნენ და ინგლისურ კომპანიებთან კავშირები დაამყარეს“, – ასე აღწერს იტალიური ყოველკვირეული „ესპრესო“ ბრიტანული დედაქალაქის ახალ რეალობას, რომელსაც ჟურნალისტები ლონდონგრადად მოიხსენიებენ.



„რუსები – არც მეგობრები არიან, არც მტრები. ისინი ერთმანეთს ხვდებიან და შორდებიან ბიზნესის გამო. მათი შვილები, ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ სასწავლო დაწესებულებებში განათლებას იღებენ, ცოლები თაყვანს სცემენ ხელოვნებას. საუკეთესო მაღაზიებში – ჰეროდსაა და სელფრიჯში მათ შორის რუსულ ენაზეც საუბრობენ. კვირას დილით, „ენისმორ გარდენსის“ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ბევრი „მერსდესი“ და „ფერარი“ არის გაჩერებული.

პუტინის „მოხრეობას“ და „მოწინააღმდეგეობას მნიშვნელობა არ აქვს. გაერთიანებული სამეფოს რუსი ოლიგარქებისთვის ყველაზე მთავარი – ფულის კეთებაა. „მოსტოვი ტემზაზე“, „ლონდონგრადი“, „პატარა რუსეთი“, – როგორც არ უნდა უწოდონ, მათი უზომო სიმდიდრისთვის ლონდონი მიწიერი სამოთხე გახდა“, – წერს იტალიური გამოცემა.

## ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

## ასტროპროგნოზი 9 იანვრისთვის

**ვერძი** – სახლში დიდი სიხარული გელით. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – თქვენი საქმე კარგად მიდის, იაქტიურეთ. **კირჩხიბი** – არ აყვეთ პროვოკაციას, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ლომი** – რომანტიკული თავგადასავალი გასაზრდოებთ. **ქალწული** – მოერიდეთ უცხო პირებს, გადაამოწმეთ ინფორმაცია. **სასწორი** – დასვენება გჭირდებათ, გადაღლილი ხართ. **ღრიანკალი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მშვილდოსანი** – იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია, იფიქრეთ ამაზე. **თხის რქა** – მიიღეთ ხილი და ბოსტნეული, ვიტამინები გჭირდებათ. **მერწყული** – რისკი არ არის გამართლებული, ჩვეულ ცხოვრებას მისდიეთ. **თევზები** – ცხოვრების შეცვლა გწადიათ, მერე იმოქმედეთ, ვინ გიშლით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## „ვეფხისტყაოსნის“ იუბილეს წიგნი მიეძღვნა

„ყოველ ქართველში შენი გენია“ – ასე ეწოდება ახალ წიგნს, რომელიც ვახტანგ მეექვსის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემიდან 300 წლის იუბილეს მიეძღვნა. საქართველოს რუსთაველის საზოგადოების მიერ გამოცემულ კრებულში გაერთიანებულია პოეზია და თითოეული ლექსი ეძღვნება შოთა რუსთაველსა და მის უკვდავ პოემას. წიგნში შეტანილია არჩილის, დავით გურამიშვილის, თეიმურაზ მეორის, ალექ-



სანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ორბელიანის, ვაჟა ფშაველას, დუტუ მეგრელის, დიმიტრი მაჩხანელის, გრიგოლ რობაქიძის, ალექსანდრე აბაშელის, ალექსანდრე გომიაშვილის, მარიკა ბარათაშვილის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, ნიკოლო მიწიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ვიქტორ გაბესკირიას, სიმონ ჩიქოვანის, ნინო თარიშვილის, სევერიან ისიანის, გაბრიელ ჯაბუშანურის, აკაკი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 2. უძველესი აკადემია კახეთში; 3. კარსტული მღვიმე იმერეთში; 4. მდინარე ზუგდიდში; 6. ქართული ლუდი; 8. ფოტოაპარატების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 11. დიდი ფართობის ნოყიერი სახნავი მიწა; 12. ფასის დაწევა საქონელზე უხარისხობის გამო; 16. დეტექტური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 17. მკვრივი და დრეკადი იოგი, რომლითაც კუნთი მიმაგრებულია ძვალზე; 18. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა.

**თარაზულად**: 1. სირბილი, ცურვა მოკლე დისტანციაზე; 5. ოპტიკური მინა; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 9. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 13. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 14. დიდი სატრანსპორტო, სამგზავრო გემი; 15. ბრიტანული ტაქსი; 19. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება; 20. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 21. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 22. სიტყვების წარმოთქმის მანერა.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*



## თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს ახალი მწვრთნელები ჰყავთ

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ ფალავანთა კლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სამივე ასაკობრივი ჯგუფის ნაკრების ახალი მწვრთნელები წარუდგინა.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებები საკმაოდ ხმაურიანია, თუმცა, რა შედეგი ექნება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ძირითად ნაკრებში ზაზა თურმანიძეს რეზო მინდორაშვილი შეცვლის, რომელსაც ასისტენტობას დავით პოლოსიანი და ალექსანდრე კახნიაშვილი გაუწევენ.



ახალგაზრდული ნაკრები კი ნუგზარ სხირელის ნაცვლად გიორგი გოგშელიძეს ჩააბარეს. მას ოთარ თუშიშვილი და დავით ოთიაშვილი დაეხმარებიან, ხოლო ჭაბუკთა გუნდს თამაზ ბენდიანიშვილის ნაცვლად შაკო ბედინიდისი გაწვრთნის. ბედინიდისის ასისტენტები გიორგი იანტბელიძე და გელა საღირაშვილი იქნებიან.

ლუკა კურტანიძის განცხადებით, ჩამოთვლილი მწვრთნელები მოვალეობას 2013 წლის ბოლომდე შეასრულებენ. შემდეგ კი ფედერაცია მათ მიერ გაწეულ სამუშაოს შეაჯამებს და თანამშრომლობის გაგრძელების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.

დაწვრილებით ამ თემაზე ხვალინდელ ნომერში გიამბობთ.

მ. ჟ.